

ფუნთუშა

დამარცხებული ჯარის ნარჩენები რამდენსამე დღეს მუწყვეტილ მოდიოდა, უნდა გაევილო ქალაქზე და მერე იქით განეგრძო გზა. ეს უკვე ჯარს კი არა ჰგვანდა, არამედ ურდოები იყო, დომხალივით ალუფხული. ჯარისკაცებს მოშვებული და ჭუჭყიანი წვერი ჰქონდათ, ტანისამოსი დაფლეთილი და წინ მოიწვედნენ მოწყვეტილ სიარულით, უალამოდ, უმწყობროდ. ყველანი დანდალაგამოლეული იყვნენ, დათენთილნი, უძღურნი რამე მოესახრათ, რამე ექნათ; მოდიოდნენ იმიტომ, რომ დაჩვეულნი იყვნენ სიარულს, და როგორც კი გაჩერდებოდა რომელიმე, იმწამსვე ძირს დაეცემოდა, დაღლილობისაგან, რომელნიც თოფების სიმძიმეს ქვეშ წელში წყდებოდნენ; აქვე იყვნენ მოძრავი გვარდიელები, ცქვიტ ახალგაზრდებისაგან შემდგარი, მათ შიშისზარი ადვილად აიტანდა, მაგრამ ამათვე შეეძლოთ ადვილად აღფრთოვანებულიყვნენ ხოლმე; მზად იყვნენ ხელად ჰკვეთებოდნენ მტერს, მაგრამ ისევე ხელად შეეძლოთ იმავე მტრისათვის ზურგი ეჩვენებინათ. მერე ამათს შორისვე გამოერეოდნენ წითელძიქვიანი ჯარისკაცები, ნამღვილი სალდათები, რომელსამე დიდს ბრძოლაში ძლეულ და დაფანტულ დივიზიის ნარჩენები; აქვე, ქვეითი ჯარის სხვადასხვა ნაწილებს შორის, ნახავდით არტილერიისტიც მუქ ტანისამოსს; ზოგჯერაც გამობრწყინდებოდა კასკადრაგუნისა, რომელიც მძიმე ნაბიჯით ძლივს მიჰყვებოდა უფრო მსუბუქად მიმავალ ქვეითებს.

თავიანთ მხრივ ამათ მისდევდნენ მსროლელები. ყველას ავაზაკების სახე ჰქონდა და გმირული სახელებიც ერქვათ:

„დამარცხების შურისმაძიებელი“, „საფლავის მოქალაქე“, „სიკვდილის მონაწილე“.

უფროსებადა ჰყავდათ მათეულობით ან ხორბლით ყოფილი მოვაჭრე, ღორის ქონისა ან საპნის გამყიდველები, მეომრებად შემთხვევით გამხდარნი, ოფიცრობა მიეღოთ თავიანთი ფულის წყალობით ან იმიტომ, რომ გრძელი უღვაში ჰქონდათ, იარაღში ჩამსხდარნი და ფლანელითა და ოქრომ. კედის ყაითნებით დაფარულნი ხმამაღლა ლაპარაკობდნენ. ეს ბაქეები ბრძოლის გეგმას აწყობდნენ და ტრაბახობდნენ სულთმობრძავი საფრანგეთი ჩვენ შეგვიძლია გასაჭირისაგან ჩვენი ზურგით გამოვიყვანოთო; მაგრამ ამასთანავე თავისივე საკუთარი ჯარისკაცებისა ეშინოდათ, ეშინოდათ ამ სათოკეებისა, რომლებიც ხშირად უსაზღვროდ ყოჩაღები იყვნენ, მაგრამ ამავე დროს იყვნენ ავაზაკები და გაქსუებული ხალხი.

იძახდნენ, პრუსიელები რუანში უნდა შემოვიდნენო!

ნაციონალური გვარდია ორი თვის განმავლობაში მეზობელ ტყეებში დიდი სიფრთხილით მტერსა ზვერავდა, ზოგჯერ თავისი საკუთარი დარაჯებიც შემოაკვდებოდა ხოლმე. ჩირგვში დამალული კურდღლის ყოველ გაფაჩუნებაზე საბრძოლველად ემზადებოდა, მაგრამ ახლა თავის კერას დაჰბრუნებოდა. მისი თოფ-იარაღი, მისი ფორმის ტანისამოსი, მთელი მოწყობილობა ადამიანის სახოცავი, რომელიც თავზარსა სცემდა ყველას ნაციონალურ გზების საზღვრებზე მთელი სამი ლიეს ირგვლივ, ერთბაშად გაჰქრა.

ფრანგის უკანასკნელი ჯარისკაცები, ის იყო, გადავიდნენ სენაზე, რომ სენ-სევერის და ბერგ-ამარის გზით პორტოლმერში ჩასულიყვნენ. ამათ სულ ბოლოში გენერალი მისდევდა ფეხით, ორ თანმხლებელ ოფიცერს შუა ჩამდგარი. გულმოკლული იყო,

რადგან ამ დამარცხებული მაწანწალების გადამკიდეს არაფრის გაკეთება შეუძლო, თვითონაც თავ-ტანი დაჰკარგოდა ხალხის ამ საერთო აწიოკებაში, იმ ხალხისა, რომელიც სულ მუდამ დაჩვეული იყო მტრის მორევასა და ძლევას და ახლა, მიუხედავად თავის ზღაპრულ მამაცობისა, საშინლად დამარცხებული ოტებულქმნილიყო.

ამას შემდეგ უსაზღვრო სიჩუმე, შიშისანი და მდუმარე მოლოდინი ქალაქს ჩამოებურა. ღიპიან ბურჟუებს, ვაჭრობისაგან გაქალაჩუნებულებს, გული უწვრილდებოდათ გამარჯვებული მტრის მოლოდინში, შიშისაგან ძრწოდნენ, ვაითუ ხორცის შესაწვავი შამფურები ან ჩვენი დიდი სამზარეულო დანები საბრძოლველ იარაღად მიიჩნიონო.

სიცოცხლე შეჩერდა; დუქნები დაიკეტა, ქუჩებში ჩამიჩუმი არ ისმოდა, ზოგჯერ ესა თუ ის მოქალაქე, ამ სიჩუმით დაშინებული, სახლების კედლებს აკრული მიძვრებოდა.

ეს მოლოდინი ისე მძიმე ხდებოდა, რომ ყველა იძახდა, ნეტავ კი ჩქარა შემოვიდეს მტერიო.

აქედან ფრანგების ჯარის გასვლის მეორე დღის ნაშუადღევს, საიდანაც რამდენიმე გერმანული ულანი გაჩნდა და საჩქაროდ გაიარა ქალაქზე. ცოტა ხანს შემდეგ სანტ-კატრინის მხრიდან მტრის შავი გროვა ჩამოვიდა, ხოლო სხვა ორი ნაკადი დამპყრობლებისა დარნტალის და ბუაგიომის გზებით მოზღვავდა. სამი კორპუსის მოწინავე რაზმები თითქმის ერთსა და იმავე დროს შეუერთდნენ ერთმანეთს ქალაქის თვითმართველობის მოედანზე; ყველა მეზობელ ქუჩებიდან თანდათანობით მოზღვავდა გერმანელთა ჯარი. ამ ჯარის გუნდები მწკრივდებოდა და ამ დამწკრივების დროს მაგარ და გამოზომილ ნაბიჯებისაგან ქვაფენილს ზრიალი გაუდიოდა.

უცნობისა და ხორცისმიერი ხმით გაისმოდა ბრძანება სახლების გასწვრივ, რომლებიც დაცარიელებულებსა და ამოგვილებსა ჰგავდა; მაგრამ მიხურულ დარაბებს უკანიდან მცხოვრებნი თვალს ადევნებდნენ გამარჯვებულებს, და აწ „ომის უფლების“ ძალით ქალაქის მცხოვრებთა ქონების და სიცოცხლის პატრონებად გამხდრებს. მცხოვრებნი მათს ჩამოხრელებულ ოთახებში იმ შიშის ზარს მოეცვა, რომელიც წყალდიდობას, სიცოცხლის მომსპობ მიწისძვრას მოჰყვება ხოლმე, და რომელთა წინააღმდეგ ყოველივე სიბრძნე და ყოველი ძალა ამაოა. ამიტომ რომ ასეთივე გრძნობით განიმსჭვალება ხოლმე ადამიანი, როცა არსებული წეს-წყობილება დამხობილია, როცა უშიშროება აღარ არსებობს, როცა ყოველივე, რასაც ადამიანისა, გინდა ბუნების კანონები მფარველობდა, დარჩენილია მხეცურისა და შეუგნებელ გაქსუებულობის ამარად. მიწისძვრა, რომელიც დანგრეულ სახლებს ქვეშ მთელ ხალხს მოაყოლებს ხოლმე, ადიდებული მდინარე, რომელიც დამხრჩვალ გლეხებს საქონლის მძოვრებთან და სახლის სამ ხურავების კოჭებთან ერთად მიაგორებს, ღი ჯარი, რომელიც თავის სამშობლოს დამცველებს ზოგს მუსრს ავლებს, ზოგიც ტყვეებად მიჰყავს, სძარცვავს მახვილის სახელით და ზარბაზნების გრიალზე ღმერთს მაღლობას სწირავს, — ყოველივე ეს ისეთივე რისხვა ღვთისა, რომ ადამიანს ყოველსავე რწმენას უკარგავს საუკუნო სამართლიანობისადმი, უკარგავს ყოველსავე ნდობას, რომელიც, როგორც გვასწავლიან, უნდა გვქონდეს ზეციურის მფარველობისა და ადამიანის გონებისადმი.

პატარ-პატარა რაზმები სახლებს რომ მიადგებოდნენ, ჯერ დააკაკუნებდნენ და მერე შიგ შერგავდნენ თავს. ერთი სიტყვით, შემოსეულები ქვეყანას იპყრობდნენ, რაღა! ისეთი წუთი

დგებოდა, როცა დამარცხებულთ ევალეობდათ თავაზიანად და ალერსიანად დაჰხვედროდნენ დამპყრობელთ.

ცოტა ხანს შემდეგ, რაკი პირველმა შიშმა და ზარმა გაიარა, ხელახლა ჩამოვარდა სიმშვიდე. ოჯახებში ბევრგან პრუსიელი ოფიცრები შინაურებთან ერთად უსხდნენ სუფრას. ზოგჯერ ზრდილობიანებიც გამოერეოდნენ და თავაზიანობის გულისათვის ლაპარაკში საფრანგეთი ეცოდინებოდათ: რაღა უნდა გვექნა, თორემ ბარემ გვეზარებოდა ამ ომში მონაწილეობის მიღებაო. ასეთ თანაგრძნობისათვის მკვიდრნი ემადლიერებოდნენ, გარდა ამისა, დღეს იქნებოდა, თუ ხვალ, შეიძლებოდა მისი მფარველობა დასჭირებოდათ. თუ ასეთებს თავაზიანად მოვეპყრობით, ვინ იცის, იქნებ დაგვეხმარონ და უფრო ნაკლებ ხალხს ვაჭამოთ და ვასვათო. ესეც არ იყოს, რად უნდა გავაბოროტოთ თუნდ ეს რამდენიმე ოფიცერი, როცა სულით, ხორციტ მათ ხელში ვართო! ურჩობა უფრო თავხედობაში ჩამოგვერთმევა, ვიდრე ვაჟკაცობაშიო. ხოლო თავხედობა ახლა რუანელ ბურჟუებს უკვე აღარ აქვთ, ეს მხოლოდ მაშინ ჰქონდათ, როცა გმირულად იცავდნენ თავიანთ ქალაქებს, და სახელი გაუთქვეს. დასასრულ გული-გულში ამბობდნენ: ფრანგული თავაზიანობა ნებას გვაძლევს შინაურობაში ზრდილობიანობა გამოვიჩინოთ, ოღონდ გარეთ, საჯაროდ, თავი არ გავუყადროთ უცხოელ ჯარისკაცებსო. მართლაც, გარეთ თითქოს არც კი იცნობდნენ, ხოლო სახლში ხალისით ებაასებოდნენ, და გერმანელიც ყოველ სადამოს უფრო მეტს ხანსა რჩებოდა და საერთო კერის პირას თბებოდა.

თვით ქალაქსაც ცოტ-ცოტათი თავისი ჩვეულებრივი ელფერი უბრუნდებოდა. ფრანგები ჯერ კიდევ არ გამოდიოდნენ ქუჩაში, მაგრამ გერმანელები კი ბუზებივით ირეოდნენ. თუმც

ისიც უნდა ითქვას, რომ ლურჯ გუსარების ოფიცრებს, ქუჩაზე მაყურებლების გასაანჩხლებელ სახით რომ დაათრევდნენ ადამიანთა სახოც ხმლებს, სრულებით არ ეტყობოდათ — უბრალო მოქალაქენი უფრო მეტად ზიზღებოდეთ, ვიდრე მსროლელთა ოფიცრებს, რომლებთან ერთად, ამ ერთი წლის წინათ, იმავე კაფეებში ეს მოქალაქენი ქეიფობდნენ.

და მაინც ჰაერში რაღაც სხვანაირი სუნი ტრიალებდა, რაღაც უცნობი და მიუხვედრელი, რაღაც უცხოური, გაუსაძლისი, მძიმე ჰაერი, თითქოს შემოსევის სუნი ეფინება იქაურობასო. ამ სუნით იჟღინთება კერძო სახლები და საჯარო ადგილები, საჭმელს გემოს უცვლიდა, ასე გეგონა, თითქო სადმე მიემგზავრებო, სადმე ძალიან შორს, ბარბაროს და საშიშ ხალხებთანაო.

დამპყრობელნი ფულს მოითხოვდნენ, ძალიან ბევრსაც. მკვიდრნი ყოველთვის იძლეოდნენ; მდიდრებიც იყვნენ. მაგრამ ნორმანდიელი ვაჭარი რაც უფრო ქონს მოიკიდებს, მით უფრო საგრძნობელია მისთვის ყოველი მსხვერპლის გაღება, თავისი სიმდიდრის თუნდ კიკნელა ნაწილის მოკლება და სხვის ხელში გადაცემა.

და სწორედ ასეთ დროს, ქალაქიდან ორ-სამ კილომეტრის დაშორებით, მდინარის გაყოლებაზე, კროასეს, დიეპდალის ან ბიესარის მხარეს, დღე ისე არ გაივლიდა, რომ მეთევზეთა და მეზღვაურთ მდინარის ფსკერიდან გერმანელის ცხედარი არ ამოეთრიათ, ფორმის ტანისამოსიანი, გაბერილი, ზოგს დანა ჰქონდა დარტყმული და იმით მოეკლათ, ზოგი ჩაექვავებინათ, ზოგიც პირდაპირ ხიდიდან იყო ჩაგდებული წყალში. მდინარის ლამი ჰფარავდა ამ ბნელ, მხეცურ, მაგრამ სრულიად კანონიერ შურისძიების მსხვერპლთ, თვით ვაჟკაცობა უჩინარი რჩებოდა,

არავინ იცოდა, ვინ გაიმეტა თავი ასე იღუმლად, და ეს თავის გამეტება უფრო საშიში იყო, ვიდრე გამოჩინებული ბრძოლა; მერე მებრძოლი ისე ფარულად რჩებოდა, სახელსა და დიდებას არავითარს ეძებდა.

ამიტომ რომ, უცხოელისადმი სიძულვილი თავგანწირულებს ხელში იარაღს აჭერინებს და იდეისათვის თავს სასიკვდილოდ ამეტებინებს ხოლმე.

ბოლოს, რაკი დამპყრობლებს, რომელთაც ქალაქი თავის მოუდრეკელ დისციპლინას დაუმორჩილებს, სისასტიკე არაფერი ჩაუდენიათ, თუმცა, ამით, როგორც ყველანი იძახდნენ, მათ თავი ისახელეს თავიანთ ძლევამოსილი სვლის დროსო. ხალხი გათამამდა და აღებ-მიცემის სულმა კვლავ გაიღვიძა ადგილობრივი ვაჭრების გულში. ზოგს დიდი საქმეები ჰქონდა ჰავრში, სადაც საფრანგეთის ჯარი იდგა და განიზრახეს, რომ ეცადნათ როგორმე ჩაეღწიათ ამ ნავსადგურში ისე, რომ ჯერ ფეხით დიეპში ჩასულიყვნენ და იქიდან ზღვით განეგრძოთ გზა.

ამ აზრით ახლად გაცნობილი გერმანელი ოფიცრების დახმარებით ნებართვა ითხოვეს და მთავარსარდალმაც ნება მისცა.

დაიქირავეს ერთი ორცხენშებმული დილიჩანსი, ათი კაცი ჩაეწერა მედილიჩანსესთან და გადასწყვიტეს ორშაბათ დილას უთენია გასულიყვნენ, რომ არავის დაენახა და მითქმა-მოთქმა არ გამოეწვიათ.

უკვე რამდენიმე დღე იყო, რაც ყინვამ ძალზე გაამაგრა მიწა, და ორშაბათს ნაშუადღევს სამ საათზე ჩრდილოეთიდან წამოსულმა შავმა ღრუბელმა თან მოიტანა თოვლიცა, რომელიც განუწყვეტლივ მოდიოდა მთელ საღამოს და მთელ დამეს.

დილის ხუთის ნახევარზე მგზავრთ თავი მოიყარეს სასტუმრო „ნორმანდიაში“, სადაც უნდა ჩამსხდარიყვნენ დილიყანსში.

ჯერ კიდევ ძილი ეკიდებოდა ყველას და საბნებმოსხმულები სიცივისაგან კანკალებდნენ. სიბნელეში ძლივს არჩევდნენ ერთმანეთს. ყველანი თავიანთ გრძელ საზამთრო ტანისამოსში ღიპიან და ანაფორიან მღვდლებსა ჰგავდნენ, მაგრამ ორი ერთმანეთის ნაცნობი გამოდგა, მესამე შეუერთდა და გააბეს ლაპარაკი: „მე ჩემი ოჯახობა მიმყავს“, - თქვა ერთმა.

„მეცა“. — „მეც“. პირველმა დასძინა: „რუანში აღარ დავბრუნდებით, და თუ პრუსიელები ჰავრს მოადგნენ, ინგლისში გადავალთ“.

ეტყობოდა, ყველას ერთი და იგივე გადაეწყვიტნა, რაკი ერთის ჯურისანი იყვნენ.

მაგრამ ცხენების შებმას როგორღაც აგვიანებდნენ. მეჯინიბეს ხელში ერთი პატარა ფარანი ეჭირა და ხან ერთ ბნელ კარებში შეჰყოფდა თავს და ხან მეორეში. ცხენები ქვეშსაგებ თივისაგან დარბილებულ მიწაზე ფეხებს აბაკუნებდნენ და თავლის სიღრმიდან მოისმოდა ბუზღუნის ხმა კაცისა, რომელიც ცხენებს ელაპარაკებოდა. ჟღარუნების მსუბუქ შენძრევაზე მიხვდნენ, რომ მოსართავს ატრიალებდნენ; მერე ჟღარუნების ხმა უფრო მკაფიოდ და გაგრძელებულად, ცხენების მოძრაობასთან აყოლებით მოისმა, ზოგჯერ გაჩერდებოდა, მერე ერთბაშად განახლდებოდა, თითქო უცბად შეანჯღრიესო და თან აჰყვებოდა რკინაამოკრული წაღების ტყაპუნი მიწაზე.

კარი ერთბაშად მიიხურა. ხმაურობა მისწყდა. გათოშილი ბურჟუები დაჩუმდნენ; იდგნენ უძრავნი და გაფიჩხულნი.

თოვლის ფიფქების განუწყვეტელი ზეწარი დაუსრულებლივ ბუნდად ბრწყინავდა და მიწაზე ეშვებოდა; ეს ზეწარი ყოველ საგანს თავის სახეს აცლიდა, ყველაფერს ყინულის ხავსის მსგავსად ეფრქვეოდა. დაძინებული და თოვლ ქვეშ დამარხულ ქალაქის სიჩუმეში ისმოდა მხოლოდ ზევიდან წამოსული თოვლის ეს ბუნდი ხახუნი, გაურკვეველი და მცურავი, უფრო შეგრძნება, ვიდრე ხმაურობა, წარმომდგარი მსუბუქი ნაწილაკების ერთმანეთში გადარევისაგან, რომელნიც თითქო ავსებდნენ სივრცეს, ფარავდნენ ქვეყნიერებასო.

მეჯინიბე ფარნიანად გამოჩნდა და თოკით ეწეოდა ერთ საცოდავ ცხენს, რომელიც მაინცადამაინც ხალისიანად ვერ მოჰყვებოდა. ჩააყენა დილიჯანსის ხელებში, მოუჭირა ღვედები, დიდხანს უტრიალა გარშემო, რომ გაეგო, გარსაკრი ხომ კარგადა ჰქონდა მოჭერილი. ცალის ხელით უსინჯავდა, რადგან მეორე ხელში ფარანი ეჭირა. ის იყო, მეორე ცხენის გამოსაყვანად უნდა გაბრუნებულიყო, რომ დაინახა მგზავრები, უძრავად მდგარნი, მთლად თოვლით დაფარულნი და მიუბრუნდა:

- დილიჯანსში რატომ არ შებრძანდებით, არ დაგათოვსთ მაინც?!

აღბათ, აღარავის მოჰგონებია და ეს რომ გაიგონეს, ყველამ მიაშურა. სამმა მამაკაცმა თავიანთი ცოლები კუთხეში მოათავსეს და თვითონაც შეჰყვნენ; მერე შევიდნენ გამოურკვეველი სახეები, რადაცაში გახვეულნი, და ხმის ამოუღებლად თავიანთი ადგილები დაიჭირეს.

ძირს ჩალაბულა ეყარა და მგზავრების ფეხები შიგ ჩაიფლო. კუთხეში მიმსხდარ ქალებს თან ფეხების სათბურები წამოედოთ, ქიმიურ ნახშირით გასახურებულნი, მოუკიდეს და ერთხანს დაბალი ხმით ერთმანეთს უზიარებდნენ ამ

სათბურების ღირსებას, და იმეორებდნენ იმას, რაც უკვე დიდი ხანია, იცოდნენ.

ბოლოს, დილიჯანსში ოთხის მაგიერ ექვსი ცხენი შეაბეს, რადგან ძნელი საზიდი იყო, და გარედან ვიდაცის ხმა გაისმა:

- ხომ ყველანი შეხვედით?
- ჰო, შევედით! უპასუხა ერთ-ერთმა შიგნიდან და დილიჯანსიც დაიძრა.

დილიჯანსი სულ ნელ-ნელა მიდიოდა, ტაატიო, თვლები თოვლში იფლობოდა. მთელი სხეული დილიჯანსისა ყრუდ ჭრიალებდა; ცხენებს ფეხები უცურდებოდათ, ქშინავდნენ, ომხივარი ასდიოდათ; ხოლო მეეტლეს უშველებელი შოლტი განუწყვეტლივ ტყლაშუნებდა, ყოველმხრივ ფრიალებდა, იკლავებოდა და მერე იშლებოდა, თითქო წვრილი გველიაო. მერე უცბად ცხენს სავსე გავაზე გადაუჭირებდა შოლტს და ისიც თავს უფრო დაატანდა ძალას და გაიწევადა.

მაგრამ შეუმჩნევლად უფრო და უფრო თენდებოდა. თოვლის მსუბუქი ფიფქები, რომელიც ერთმა მოგზაურთაგანმა, წმინდა სისხლის რუანელმა, ბამბის წვიმას შეადარა, უკვე შესწყდა. მოქურუმებულ და დახუნზლულ ღრუბლებს შორის გამოსცრა მქრალმა სინათლემ. ამ ღრუბლების წყალობით სოფელი უმეტესად თეთრად გადაპენტილად მოსჩანდა; დროდადრო გამოჩნდებოდა ჭირხლით შემოსილი ხეების მთელი რიგი, ხანაც ქოხი, თოვლის ყაბალახიანი.

დილიჯანსში განთიადის ამ საცოდავ გაშუქებაზე ცნობისმოყვარეობით ათვალეიერებდნენ ერთიმეორეს.

სულ სიღრმეში, საუკეთესო ადგილებზე, ერთმანეთის პირდაპირ სთვლემდნენ ბატონი და ქალბატონი ლუაზო, გრან-პონის ქუჩაზე ბითუმად ღვინის მოვაჭრენი.

ლუაზო ჯერ ნოქრად იყო და მის ალას საქმეები ცუდად რომ წაუვიდა, თვითონ იყიდა მისგან ლუქანი და ფულიც მოიგო. სოფლის წვრილ მიკიტნებს ცუდ ღვინოს იაფად აძლევდა და ნაცნობ-მეგობრებს მეტად გაიძვერა და ქლესა ადამიანად მიაჩნდათ. რა საჭიროა, ნამდვილი ნორმანდიელი იყო, მასხარა და ცბიერი!..

გაიძვერას სახელი იმდენად ჰქონდა ლუაზოს მითვისებული, რომ ერთ საღამოს პრეფექტურაში ბ-მა ტურნელმა, სიმღერა-არაკების ავტორმა, ენამახვილმა და დამცინავმა, იქაურობის ერთგვარმა თავმოსაწონმა კაცმა, რომ დაინახა, ქალებს ეძინებათო, მოდით, „ლუაზო ვოლ“¹ ვითამაშოთო.

თვითონ ამ სიტყვამ პრეფექტის სალონებში მიმოიფრინა, მერე დაიწყო ფრენა ქალაქში და მთელი ერთი თვის განმავლობაში ყბები არ დაუყენებიათ სიცილით მთელს პროვინციაში.

ლუაზო, ამას გარდა, ცნობილი იყო როგორც ყოველნაირი ოინების ჩამდენი, ავტორი ხან კარგისა და ხანაც უწმაწური ხუმრობისა. და ამის სახელს ისე არ ახსენებდნენ, რომ არ დაეტანებინათ: „რაც გინდათ, თქვით, და ჩვენი ლუაზო პირდაპირ დაუფასებელიაო!..“

დაბალის ტანისა იყო, გოდორა, ღიპიანი, ზევიდან ამ ღიპს გადმოსცქეროდა წამოჭარხლებული სახე, ჭადარაშერთულ წვერიანი.

¹ სიტყვათა თამაშია: ფრანგულად „ლუაზო ვოლ“ ნიშნავს — ჩიტის ფრინავსო, მაგრამ ამავე დროს ნიშნავს: „ლუაზო (მოთხრობის გმირის გვარი) ქურდობსო“.

მისი ცოლი მაღალი და მსხვილი ქალი იყო, რუხრუხა, ყველაფერს სწრაფად მოისაზრებდა და გადასწყვეტდა ხოლმე, სავაჭრო სახლში ის იყო წესრიგისა და ანგარიშიანობის განხორციელება, ყველაფრის სარისტას მიმცემი და თავის გამრთმევი.

მათს გვერდით მძიმედ იჯდა ცოტა უფრო მაღალი წრის კაცი, ბ-ნი კარე-ლამადონი; ეს იყო ბამბის საქმეში ცნობილი და საყურადღებო პიროვნება, სამი ბამბის ძაფის სართავ ქარხნის პატრონი, საპატიო ლეგიონის კავალერი და ქალაქის საბჭოს წევრი. იმპერიის დროს ზომიერ ოპოზიციის სათავეში იდგა მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ მეტს გამორჩენოდა, რადგან მხარს უჭერდა იმ მიმართულებას, რომელიც, როგორც თვითონ ამბობდა, დაიცვა თავაზიანის იარაღით. ქ-ნი კარე-ლამადონი ქმარზე გაცილებით ახალგაზრდა იყო, და კარგის ოჯახის ოფიცრებს, ვისაც კი გამოგზავნიდნენ რუანის გარნიზონში, ნუგეშად და მეოხად ის ევლინებოდა ხოლმე.

ბეწვეულებში გაფუთვნილი ქალი სულ პატარად, სულ კოპწიად, ლამაზად მოსჩანდა თავისი ქმრის გვერდით და დაძმარებული თვალებით უყურებდა დილიქანსის შიგნით მყოფთ.

ამათ გვერდით ესხდნენ კონტი და კონტესა უბერ დებრევილი, ნორმანდიაში უძველესისა და უკეთილშობილესი გვარის წარმომადგენელნი. კონტი მოხუცი კეთილშობილი იყო, დიდებულის მიხვრა-მოხვრისა და ქცევისა. თავისი ტანისამოსის მოხდენილობით ცდილობდა უფრო აღენიშნა თავისი მსგავსება მეფე ანრი IV-თან, რომელსაც, ამათს ოჯახში დარჩენილი და თავისმოსაწონებელი ლეგენდის თანახმად, დაუორსულებია

ერთ-ერთი დე-ბრევილის მეუღლე, რის გამო ქმარს კონტობა და მთელი პროვინციის გუბერნატორობა ჰბოძებია.

გენერალურ საბჭოში კონტი უბერი ბ-ნ კარე-ლამადონის ამხანაგი იყო და დეპარტამენტში ორლეანისტების პარტიას ედგა სათავეში.

ისევ გამოურკვევლად იყო დარჩენილი მის მიერ ერთნაბელ პატარა ხომალდის მეპატრონის ქალის შერთვა ცოლად. მაგრამ რადგან კონტესას თავი მძიმედ ეჭირა, სტუმრების დახვედრა ყველაზე უკეთესად იცოდა, იმასაც კი იძახდნენ, რომ ლუი-ფილიპის ერთ-ერთი შვილის საყვარლადაც იყოვო, მთელი იქაური თავადაზნაურობა მეტად პატივისცემით ეკიდებოდა, ხოლო მთელს იმ მხარეში პირველი მისი სალონი იყო, სადაც დარჩენილი იყო ძველებური თავაზიანობა ქალებთან, და სადაც შესვლა არც ისე ადვილი საქმე გახლდათ.

დე-ბრევილების ქონებას სულ მამულები შეადგენდა და, როგორც ამბობდნენ, წლიურად ხუთას და ათას ლივრს წმინდა შემოსავალს იძლეოდაო.

ეს ექვსი ადამიანი იყო, დილიჯანსის სიდრმეში რომ მოთავსდა. ესენი შეადგენდნენ საზოგადოების ნაწილს, უფრო შეძლებულს, უფრო კეთილგანმზრახს და გავლენიანს, ესენივე იყვნენ ის პატიოსანი ხალხი, მორწმუნე და პრინციპების მიმდევარნი, რომელთაც აქედან გასვლის ნება მიეცათ.

რადაც უცნაურის შემთხვევით ქალები სულ ცალ მხარეზე იყვნენ ჩამომსხდარნი. ხოლო კონტესას კიდევ გვერდით ესხდნენ ორნი მოლოზანნი, რომელნიც გრძელ კრიალოსნებს მარცვლავდნენ და მამაო ჩვენოს და ღვთის მშობლის ლოცვას ამბობდნენ. ერთი მოხუცი იყო და სახე დაკენკილი ჰქონდა ყვავილისაგან, თითქო ვიდასაც საფანტით გატენილი თოფი

მიბრჯნილად შიგ სახეში უსვრიაო. მეორეს, ძალზე მიკნავებულს, ლამაზი და ავადმყოფური სახე ჰქონდა, გულმკერდი ჩავარდნილი და ჭლექიანი, დახრული იმ სარწმუნოებისაგან, რომელიც მოწამეებს და ფანატიკოსებს წარმოშობს ხოლმე.

ამ ორ მოლოზნის პირდაპირ ყველას თვალყურს იპყრობდა ერთი ქალი და ერთი კაცი.

კაცს ყველა იცნობდა: კორნუდე იყო, უკიდურესი დემოკრატი, რომელიც ყველა კეთილსაიმედო ბურჟუას თავზარსა სცემდა. ეს ოცი წელიწადია, კორნუდე თავის გრძელსა და წითელ წვერს დემოკრატულ კაფეების სალუდე დიდ ჭიქებში ასველებდა. თავის ძმებსა და მეგობრებს შეაჭამა საკმაოდ კარგი ქონება, მეშაქარლამე მამისაგან დარჩენილი, და ახლა მოუთმენლად მოელოდა რესპუბლიკის გამოცხადებას, რომ, ბოლოსა და ბოლოს ეშოვნა ის ადგილი, რომელიც დამსახურებული ჰქონდა რევოლუციისათვის ამდენი ფულის დახარჯვით. ენკენისთვის ოთხს, ალბათ, ვიღამაც ეხუმრა და იმას კი ეგონა, პრეფექტად დამნიშნესო, მაგრამ როცა თანამდებობას უნდა შესდგომოდა, კანცელარიის მოხელეებმა, რომელნიც დარჩნენ მდგომარეობის ერთადერთ ბატონებად, უფროსებად არ იცნეს და ისიც იძულებული შეიქნა უკან დაეხია. საზოგადოდ კარგი გულის ბიჭი იყო, უწყინარი და ყველას მამებელი, და სწორუპოვარის მხნეობით შეუდგა თავდაცვის მოწყობას. მინდვრებში აუარებელი თხრილები დაათხრევინა, ახალნორჩი ხეები სულ ძირს დააწვინა, გზები სულ ხაფანგებით მოჰფინა და მტერი მოახლოვდა თუ არა, თავისი სამზადისით სრულიად კმაყოფილმა, საჩქაროზე ქალაქისაკენ დაიხია.

მისი აზრით, ახლა ჰავრისათვის უფრო საჭირო ვიქნები, რადგან იქაც საჭირო იქნება ახალი თხრილების გათხრა თავდაცვისათვისო.

ქალი კი, ერთი იმათგანი, რომელთაც მსუბუქ ყოფაქცევის ქალებს ეძახიან, საყურადღებო იყო იმით, რომ ადრეულად დამსხვილებულიყო და იმიტომ მეტ სახელად ფუნთუშას ეძახდნენ. პატარა ტანისა იყო, ჩამრგვალებული, ჩასუქებული; ფუნთუშა თითები, სახსრებთან ჩაჭერილები, მოკლე ძეხვების ასხმულას მიუგავდა. ხორცის კანი მოლაპლაპე და დაჭიმული ჰქონდა, უშველებელი გულ-მკერდი ტანისამოსში არ ეტეოდა. მაინც იმის წყალობით, რომ ქორფა იყო, კაცს მისი ყურება ესამოვნებოდა, მადას უღვიძებდა, პირზე ნერწყვსა ჰგვრიდა. მისი სახე ჰგავდა თურაშაულ ვაშლს, გასაშლელად გამზადებულ იორდასალამის ყვავილის კოკორსა; შიგ ესხდა ორი მშვენიერი, ყუყასავით შავი თვალი, დაჩრდილულ, გრძელ და სქელ წამწამებიანი, რომლებიც შიგ ჩრდილს აყენებდა; თვალებს ქვემოთ მოსდევდა მომხიბვლელი პირი, კოპწია, ნამიანი, საკოცნელი, მიჯრით მიწყობილ პაწაწუნა და თვალისმომჭრელ სითეთრის კბილებიანი...

გარდა ამისა, როგორც ამბობდნენ, ბევრი სხვა დაუფასებელი ღირსებაცა ჰქონდაო...

იცნეს თუ არა, პატიოსან ქალთა შორის ერთი ჩურჩული ატყდა და სიტყვები „მეძავი“, „უნამუსო“ ისე ხმამაღლა იყო წარმოთქმული, რომ ქალმა თავი მაღლა აიღო. მეზობლებს ისეთი მრისხანე და თამამი თვალები მიმოავლო, რომ მაშინვე სიჩუმე ჩამოვარდა და ყველამ ძირს დახარა თვალები, ლუაზოს გარდა, რომელიც მსუნაგურად უთვალთვალებდა.

მალე ლაპარაკი გააბა სამმა ქალმა. ესენი ამ მეძავ ქალის იქ ყოფნამ ერთბაშად ერთმანეთს დაამეგობრა, ერთმანეთის მესაიდუმლედ გახადა. მათი აზრით, მათ უნდა შეეერთებინათ თავიანთი ცოლქმრული სათნოებანი და ეს კავშირი ფარად ეხმარათ ამ ნამუსგაწყვეტილის წინააღმდეგ; ამიტომ რომ, მოგეხსენებათ, კანონიერი სიყვარული სულ მუდამ მალლა დგას თავის უკანონო დაზე.

სამი მამაკაცი კიდევ, კორნუდეს დანახვაზე, კონსერვატიზმის აღღომ ერთიმეორეს დაუახლოვა და დაიწყეს ფულზე ლაპარაკი ღარიბთათვის დამამცირებელი კილოთი. კონტი უბერი იმასა სჩიოდა, თუ რა ზარალი მიაყენეს პრუსიელებმა. ან რამდენი დაეკარგებოდა მოპარული საქონლისა

და დაუბინავებელ ჭირნახულისაგან. მაგრამ ამას რომ ამ ბობდა, ხმაზე ეტყობოდა, რომ ლაპარაკობდა დიდი მემამულე და ათეული მილიონების პატრონი, რომელსაც ეს ზარალი მარტო ერთ წელიწადს მოუვიდოდა. ბ-ნი კარე-ლამადონსაც მოეცარა ხელი ბამბის საქმეში და ყოველშემთხვევისათვის ინგლისში გადაუგზავნია ექვსასი ათასი ფრანკი, გაჭირვების დროს ერთ ხანს ხელს მოუმართავდა. ლუაზოს კი იმდენი უქნია, რომ მოუხერხებია და საცა კი ჭყაფი ღვინოები ჰქონოდა საწყობებში დარჩენილი, აელო და საფრანგეთის საინტენდანტოსთვის მისაღებინა, ისე რომ სახელმწიფოს მისი დიდძალი ფული ემართა და იმედი ჰქონდა ჰავრში გაენადლებინა ყველაფერი.

და სამნივე ერთმანეთს ჩქარ-ჩქარა და მეგობრულად გადახედავდნენ ხოლმე. თუმცა სხვადასხვა მდგომარეობისანი იყვნენ, მაგრამ ძმებადა ხდიდა ფული, რომელიც ეკუთვნის

მეპატრონეთა დიდ მასონურ საზოგადოებას, იმათ, რომელნიც ჯიბეში ხელს რომ იყოფენ, ოქროს ფულს აჩხარუნებენ ხოლმე.

დილიჟანსი ისე ნელა მიდიოდა, რომ დილის ათ საათზე ოთხი ლიელა ჰქონდათ გავლილი. მამაკაცები სამჯერ ჩამოხდენ, რომ აღმართში ფეხით ასულიყვნენ. ყველამ წუხილი დაიწყო, ამიტომ რომ ტოტში უნდა ესაუზმნათ და ეხლა იმას იძახდნენ, ვაითუ შუადამესაც ვერ ვიქნეთ იქაო. ყოველი მათგანი გაფაციცებით უყურებდა, იქნებ სადმე დუქანი გამოჩნდეს გზაზეო. ამ დროს დილიჟანსი თოვლის ნამქერში ჩაეფლო და მთელი ორი საათი მოანდომეს, სანამ იქიდან ამოათრევდნენ. ჭამის მადა უცხოველდებოდათ. აღრენილ გუნებაზე აყენებდა; და არც სამიკიტნო ჩანდა სადმე და აღარც ღვინის ვაჭარი, რადგან პრუსიელთა მოახლოებას და ფრანგების დამშუული ჯარების გავლას ვაჭრები ყველგანი დაეფრთხო.

კაცები გზის პირას მცხოვრებ გლეხების სახლებს მოედვნენ, იქნებ საჭმელი რამ ვიშოვნოთო, მაგრამ პური რა არის, პურიც კი ვერსად იშოვნეს, ამიტომ რომ დამინებულ გლეხს თუ რამ ებადა, დაემალნა სალდათების შიშით, რომელნიც რაკი კბილის გასაკრავი არა ებადათ რა, ძალათა სტაცებდნენ, რასაც მოახელებდნენ.

ნაშუადღევს პირველ საათზე ლუაზომ განაცხადა მუცელი ვალაღას მაყრისო, მეტის მოთმენა აღარ შემიძლიაო. დიდი ხანია, სხვებიც ასე შეწუხებულნი იყვნენ.

შიმშილი ემატებოდათ, საშინლად უნდოდათ ეჭამნათ რამე და ამან ლაპარაკის თავიც კი წაართვა ყველას.

ჟამდაჟამ ვინმე დაამთქნარებდა, მეორე მაშინვე მიჰბაძავდა; და ყველა მათგანი, თავის ზრდილობისა, თავის ხასიათისა და სოციალურ მდგომარეობისადაკვალად დააღებდა

პირს უხეშად ან მოკრძალებით და ხელს მიაფარებდა ღიად დარჩენილ პირს, საიდანაც ორთქლი გამოსდიოდა.

ფუნთუშა რამდენჯერმე ძირს დაიხარა, თითქო რასმე ეძებს კაბას ქვეშაო. ერთ წამს შეყოყმანდებოდა, თავის მეზობლებს შეხედავდა, მერე ნელ-ნელა წელში გასწორდებოდა. ყველას გაფითრებული და შეჭმუხვნილი სახე ჰქონდა. ლუაზომ წამოიძახა: ათას ფრანკსაც არ დავიშურებდი ლორის ერთ ნაჭრისათვის. ჰო, თავი არ მომიკვდებო! ცოლმა კოპები შეიკრა, თითქო არ ეამა მისი ნათქვამიო, მერე ისევ დამშვიდდა. ქალი ყოველთვის სწუხდა, როცა ყურს მოჰკრავდა, მავანმა ფული ცუდ-უბრალოდ გაჰფლანგო, ფულის ხარჯვის შესახებ ხუმრობაც კი გაუგებარი იყო მისთვის. „უნდა გამოვტყდე, რომ მაინცდამაინც კარგს გუნებაზე არა ვარ, — თქვა კონტმა,

საკვირველია, როგორ არ მომაგონდა, სურსათი რამ წამომეღო“. — ყოველი მათგანი ამასვე აყვედრიდა თავის თავს.

ამასობაში, კორნუდეს აღმოაჩნდა ერთი რომით სავსე მათარა; შესთავაზა მოგზაურთ, მაგრამ ყველამ უარი უთხრა ცივად, მხოლოდ ლუატომ ჩამოართვა და რამდენიმე წვეთი ჩაუშვა პირში. მათარა რომ დაუბრუნა, მადლობა მოახსენა: „რაც გინდა, თქვით, მაინც კარგია, მუცელი გამითბო და მადაც დააყუჩა“. მაგრამ სასმელმა მხიარულ გუნებაზე დააყენა და ურჩია თანამგზავრთ, ისე ექნათ, როგორც „პატარა ხომალდის“ სიმღერაშია: „რომელიც უფრო მსუქანი მოგზაური იყო, ის შეეჭამათ“. ეს სიტყვა ფუნთუშას გადაჰკრა და კეთილად აღზრდილ მოგზაურთ საწყენად დაურჩათ. არავინ არ უპასუხა, მხოლოდ კორნუდემ ჩაიცინა. მოლოზნებმა კრიალოსანს თავი ანებეს, ხელები განიერ სახელოებში ჩაიყვეს და უძრავად

ისხდნენ, დაჟინებულად თვალვდახრილნი, და ალბათ, ზეცას შეჰღალატებდნენ მათზე გადმოვლენილ ტანჯვის შესახებ.

ბოლოს, მესამე საათზე, ერთ დაუსრულებელ ველზე გამოვიდნენ; სოფელი რამ არსადა ჩანდა. ამ დროს ფუნთუშა ერთბაშად დაიხარა, მერხის ქვეშიდან გამოათრია ერთი განიერი კალათა, თეთრ ხელსახოც გადაფარებული კალათიდან ჯერ ამოიღო პატარა ფაიფურის თეფში, პატარა ვერცხლის სირჩა, შემდეგ კარგა მოზრდილი ჯამი თიხისა, სადაც ელაგა ორი ვარია, ასო-ასოდ დაჭრილი, ამას გარდა, კალათაში კიდევ ელაგა სხვა კარგი რამეებიც გახვეული: ბოხჩოვანები, ხილი, ტკბილეულობა, ნაირ-ნაირი სასუსნი, მთელ სამი ღლის სამყოფი, რომ გზაში სასტუმროს საჭმელი არ დასჭირებოდა ადამიანს. ქალაქში გამოსვულ საჭმელთა შორის მოჩანდა ოთხი ყელი ბოთლებისა. ქალმა აიღო ქათმის ფრთა და მორიდებულად ჭამა დაუწყო, პატარა პურთან ერთად, რომელსაც ნორმანდიაში „რეჟანს“ ეძახიან.

ყველამ დაამტერა თვალეები ფუნთუშას. მერე საჭმლის სუნი მოედო იქაურობას, ნესტოები გაუგანიერდათ, პირი ნერწყვით გავესოთ, ხოლო ყბები მწარედ აუკაწკაწდათ. ამ გოგოსადმი ზიზღი საშინელ სიძულვილად გადაექცათ, მზად იყვნენ მოეკლათ ან დილიჯანსიდან ჩამოეგდოთ, თოვლში, თვითონ. მისთვის მიეყოლებინათ მისი სირჩაც, კალათაცა და სურსათიც.

ლუაზო კი თვალეებითა ჰყლაპავდა ჯამზე დალაგებულ ვარიებსა. ბოლოს, ქალს მიჰმართა:

- აი ბარაქალა, მე და ჩემმა ღმერთმა! წინდახედული ქალიც თქვენისთანა უნდა! ზოგი ადამიანია, არაფერი დაავიწყდება, ყოველთვის წინდაწინვე მოისაზრებს.

ქალმა ლუაზოსაკენ მიიხედა:

- იქნებ, მიირთვათ, ბატონო? დილას აქეთ უჭმელობა ძნელი გახლავთ! ლუაზომ თავი დაუკრა.

- მე და ჩემმა ღმერთმა! გამოტეხილი მოგახსენოთ. უარს ვერ ვიტყოდი, მეტი აღარ შემიძლია. რა დროს პატიჟია! ხომ მართალს ვამბობ, ქალბატონო? მერე გარშემო თვალი მოავლო და დაუმატა:

- ასეთ გაჭირვებულ დროს იმას რა ჯობია, ვინმე მშველელი რომ აღმოგიჩნდება კაცს...

ლუატომ გაზეთი ამოიღო, მუხლებზე გადაიფარა, რომ შარვალი არ დასვროდა და დანით, სულ მუდამ ჯიბით რომ ატარებდა, ქათმის ჩამუჟუჟებული ბარკალი აიღო, კბილებით მოკბიჩა და ისეთი სიამოვნებით დაუწყო ღეჭვა, რომ დილიყანსში ყველამ ისე მწარედ ამოიხვნეშა, თითქო გულიც თან ამოაყოლესო.

ფუნთუშამ ტკბილისა და თავმდაბალი ხმით შესთავაზა საუზმე მოლოზნებს, ორივე მაშინვე დათანხმდა, მადლობა წაილულღულეს და მაშინვე თავაუღებლივ დაიწყეს ჭამა. კორნუდემაც უარი არ თქვა თავის მეზობლის დაწვევაზე და ამგვარად მოლოზნებთან ერთად ერთგვარი სუფრა გამალეს მუხლებზე გაზეთ გადაფარებულმა მოგზაურებმა.

გაუწყნარებლივ აღებდნენ და იყოფდნენ პირში, შიგ იტენიდნენ, ჰღეჭავდნენ, ხარბად ჰყლაპავდნენ. ლუაზო თავის კუთხეში გაფაციცებით მუშაობდა. და ჩუმ-ჩუმად ცოლს ურჩევდა, მე მომბაძეო. ცოლი დიდხანს იყო გაკერპებული, მაგრამ მუცელმა საშინლად გვრემა დაუწყო, მეტი გზა არ ჰქონდა, გაჰყვა ქმრის რჩევას, მაშინ ლუაზომ ტკეპნით დაუწყო ლაპარაკი თავის

„სწორუპოვარ თანამგზავრს“: ქ-ბატონს ლუაზოს, თუ შეიძლება, ერთი ნაჭერი უთავაზეთო.

— ბატონი ბრძანდებით, — უპასუხა ფუნთუშამ, ტკბილად გაიღიმა და ქათმის ერთი ნაჭერი შესთავაზა.

- თქვენ გაჭირვება მაშინ იკითხეთ, როცა ბორდოს ღვინის ბოთლს მოუხსნეს თავი: სასმისი ერთიდა ჰქონდათ. ერთი რომ მოსვამდა, მეორე ნაპირალს გასწმენდა და ისე დაღვევდა. მხოლოდ კორნუდემ, ალბათ თავაზიანობის გულისათვის, მიაკარა ტუჩები თავის მეზობელ ქალის ჯერ ისევ სოველ ნაპირალს.

წარმოგიდგენიათ, რა უნდა დამართნოდათ კონტსა და კონტესა დე-ბრევილებს, აგრეთვე ბატონსა და ქალბატონს კარელამადონს, რომელნიც იმას უყურებდნენ, თუ როგორ ილუკმებოდნენ სხვები, იბნიდებოდნენ საჭმლის სუნითა!.. სწორედ იმ ტანჯვას განიცდიდნენ, რასაც ტანტალის ტანჯვა ეწოდება. ერთბაშად მექარხნის ახალგაზრდა ცოლმა ისე ამოიოხრა, რომ ყველამ მისკენ მიიბრუნა თავი; ისე იყო გაფითრებული, როგორც თოვლი, არემარეს რომ ეფინებოდა; თვალები დახუჭა. თავი ჩაჰქინდრა: გული წაუვიდა. მისი ქმარი, თავზარდაცემული, ყველას შველასა სთხოვდა. ყველას თავტანი დაეკარგა. ამ დროს უფრო ხნიერმა მოლოზანმა ცალი ხელით თავი დაუჭირა გულწასულს და მეორე ხელით ტუჩებს შორის სირჩა ჩაუცურა ფუნთუშასი და რამდენიმე წვეთი ღვინო გადააყლაპვინა. ლამაზი ქალი შეიშმუშნა, თვალები გაახილა, გაეღიმა და მინაბებულის ხმით წარმოთქვა, — ახლა არა მიშავს რაო. მაგრამ ვაითუ კიდევ მოგივიდეს ეს ამბავიო, მოლოზონმა ძალად დააღვევინა სავსე ჭიქა ბორდოს ღვინისა და დასძინა:

- შიმშილის მიზეზია, ქალბატონო, მეტი არაფერი, ნუ გეშინიათ!

ფუნთუმა გაწითლდა და არ იცოდა, რა ექნა. მერე უჭმელად მსხდარ ოთხ მოგზაურს გადახედა და თითქო თავისთვის წაიჩურჩულაო:

- ღმერთმანი, როგორ გავუბეღო ამ ბატონებს და ქალბატონებს... თორემ...

ქალი გაჩუმდა. შეეშინდა, არ ეწყინოთო. მაშინ ლუაზო ჩაერია:

- ვაი შენ, ჩემო თავო! რა ღროს ეგეებია? ასეთ შემთხვევაში ყველანი ძმები ვართ და ერთმანეთს უნდა მივეშველნეთ. გეყოფათ, ქალბატონებო, რა ღროს ბოდიშებია! მიირთვით, გეთაყვათ! ვიცი კია, რომ სახლს სადმე მივადგებით ღამის გასათევად? ჩვენ რომ ჩქარა მივდივართ, კაი ღვთის წყალობა იქნება, თუ ტოტში ხვალ შუადღისას მაინც ჩავაღწიეთ.

მაინც ყოყმანობდნენ, ვერავინ ჰბედავდა პირველად „ჰოს“ თქმას.

მაგრამ კონტმა გასაჭირისაგან იხსნა ყველა. მიუბრუნდა დარცხვენილ მსხვილ ქალიშვილს და თავადურის ქედმაღლობით უთხრა:

— დიდი მაღლობით მზად გახლავართ დაგეწვიოთ, ქალბატონო.

პირველი ნაბიჯის გადადგმადა იყო ძნელი. ნავსი რაკი ერთი გატყდა, ყოველგვარი სირცხვილი უკუაგდეს. კალათა თვალის დახამხამებაზე დააცარიელეს. მაგრამ შიგ კიდევ ჩარჩა ზოგი რამ: ბატის ღვიძლის ცომი, ჩახოხბილი ბელურები, ენის შამხის ნაჭერი, კრასანული მსხლები, ბოხჩოვანები და ერთი ქილა პატარა კიტრების და ნივრის მწნილით სავსე. ფუნთუმას,

ყველა ქალის მსგავსად, ეს ძნელად მოსაწელებელი საქმელები გაგიჟებით უყვარდა.

რაკი ამ ქალის სურსათსა სჭამდნენ, ხომ არ შეიძლებოდა, ხმა არ გაეცათ! ამიტომ გამოელაპარაკნენ, ჯერ თავდაჭერილად, მერე, რაკი ქალს თავი ძალიან კარგად ეჭირა, უფრო თამამად დაიწყეს ლაპარაკი. ქალბატონებმა დე-ბრევილისამ და კარელამადონისამ, როგორც კარგად აღზრდილმა ქალებმა, მის მიმართ მეტად ნატიფი ზრდილობიანობა გამოიჩინეს. განსაკუთრებით კონტესამ გამოიჩინა ალერსიანი თავმდაბლობა, რომელიც კეთილშობილ ქალებს სჩვევიათ ხოლმე, და რომელთაც, ვისთანაც უნდა დაიჭირონ საქმე, ჩირქს ვერაფერი მოსცხებდნენ. სწორედ რომ მომხიბლავი იყო! მხოლოდ მსხვილი ქნი ლუაზო, რომელიც ჟანდარმის გულის პატრონი იყო, გაფხორილი იჯდა, ცოტას ლაპარაკობდა და ბევრსა ჭამდა. ლაპარაკის საგანი, ბუნებრივად, ომი იყო. საშინელ რასმე მოუთხრობდნენ პრუსიელებზე, მოუთხრობდნენ ფრანგების ვაჟკაცობის ამბავსაც. და ყველა ეს ვაჟბატონები, ახლა რომ ივლტოდნენ, ქებით იხსენიებდნენ სხვათა საგმირო საქმეებს. მალე ყველამ თავ-თავის პირადი თავგადასავალი გაუზიარა ერთიმეორეს. ფუნთუშამაც უამბო გულწრფელი აღელვებით, გაცხარებული სიტყვებით, რომელიც ზოგჯერ სჩვევიათ ხოლმე ასეთი ჯურის ქალებს თავიანთი ბუნებრივი გულისწყრომის გამოსახატავად, როგორ დაანება თავი რუანს.

— ჯერ ასე მეგონა, რომ შემეძლო დავრჩენილიყავ, დაიწყო ქალმა, — სახლი ყოველგვარ სურსათით პირთამდე სავსე მქონდა და ამიტომ ჩემთვის ვამბობდი: მირჩევნია, რამდენიმე ჯარისკაცს ვაჭამო, ვინემ აქედან ავიყარო და უცნობ ადგილას სადმე გადავიხვეწო-მეთქი. მაგრამ როცა დავინახე

ესენი, პრუსიელები, თავზევით ძალა არ მქონდა მომეთმინა... ბრაზისაგან გულღვიძლი ამემღვრა. სირცხვილისაგან მთელი დღე ცხარე ცრემლითა ვტიროდი. ვინატრე, რატომ მამაკაცი არა ვარ, ამათ სეირი ვუჩვენო-მეთქი! ჩემი ფანჯრიდან ვუყურებდი ამ გასუქებულ ღორებს და მათს წოწოლა კასკებს! ჩემი მოსამსახურე ხელებს მიჭერდა და არ მიშვებდა, თორემ მინდოდა სახლის ავეჯი მათს ზურგზე დამეთხლიშა. მერე ჩემთან შემოვიდნენ დასადგომად. პირველ შემოსულს მივაფრინდი და ყელში ვწვიდი. სხვებზე ძნელი წასახრჩობი კი არ არიან და წავახრჩობდი კიდეც, თმაში რომ არ ჩამფრენოდნენ და ისე არ მოვეშორებინეთ. ამის შემდეგ უნდა დავმალულიყავ. ბოლოს, მოვახერხე თუ არა, წამოვედი და აჰა, თქვენთანა ვარ კიდეცა.

ყველამ მოულოცა მშვიდობით გადარჩენა. თანამგზავრების თვალში ფასი მოემატა ფუნთუშას, მით უფრო, რომ მათ შემთხვევა არა ჰქონიათ მასავით გამოეჩინათ თავი. კორნუდე ყურს რომ უგდებდა, მოციქულისებრივის კეთილგანწყობილებისა და მოწონების ღიმილით უღიმოდა, ან თითქო მღვდელია, რომელიც უსმენს, თუ როგორ აღიდებს ზეციერს მორწმუნეო, ამიტომ რომ წვერმოშვებულ დემოკრატებს ასე წარმოუდგენიათ, ვითომ მამულის სიყვარული მათი მონოპოლია იყვეს ისევე, როგორც სარწმუნოება ანაფოროსნებს თავიანთ მონოპოლიად მიაჩნიათ. დაიწყო ლაპარაკი დოქტრინიორული კილოთი, ბრტყელი სიტყვებით, იმ პროკლამაციების მსგავსად, ყოველდღე კედლებზე რომ აკრავდნენ; და მჭევრმეტყველურის სიტყვებით ზურგზე ბოლი აადინა ამ „საზიზღარ ბადინეს“.

მაგრამ ფუნთუშა ერთბაშად გაწიწმატდა, რადგან ბონაპარტისტი გამოდგა. სახეზე ცეცხლმოკიდებულმა სიბრაზისაგან ენადაბმით უთხრა:

- ნეტავი ერთი თქვენ მენახეთ იმის ალაგას, რას იზამდით! კარგი საყურებელიც იქნებოდით, თქვენმა მზემ! თქვენ არ გაციით ეს კაცი? თქვენისთანები რომ ჰყოლოდა საფრანგეთს პატრონებად, აქედან გაქცევის მეტი არაფერი დაგვრჩებოდა!..

კორნუდეს თითქო არა სწყენია ქალის ნათქვამიო, ზიზღით და უპირატესობის მქონე კაცის სახით იღიმებოდა. მაგრამ ყველა გრძნობდა, რომ შესაძლებელი იყო მაგარ-მაგარი სიტყვები დაეხარჯათ, ისევ კონტი ჩაერია ლაპარაკში და რის წვალებით დაამშვიდა გაალმასებული ქალი და განაცხადა: გულწრფელი აზრით, ყველას პატივისცემით უნდა მოვუსმინოთო. ხოლო კონტესასა და მექარხნის ცოლს, როგორც რიგიან საზოგადოების ქალებს, გამოუცნობელი სიძულვილი ჰქონდათ რესპუბლიკისა და ის ინსტინქტური გულითადობა, რომელსაც გრძნობს ყველა ქალი ბრწყინვალე და დესპოტური მთავრობებისადმი, ამიტომ თავისუფლებურად გული-გულში ამ მეძავ ქალის მხარე დაიჭირეს. მათი აზრით, თავი ღირსეულად ეჭირა და ისიც მათი აზრისა და შეხედულობისა გამოდგა.

კალათაში არაფერი ჩარჩა. ათმა კაცმა ადვილად დააცარიელა და თანაც ნანობდნენ, რატომ უფრო დიდი არ იყო ეს დალოცვილიო! ერთხანს კიდევ განაგრძეს ლაპარაკი, თუმცა ჭამის გათავების შემდეგ მაინცდამაინც ხალისით აღარ ლაპარაკობდნენ.

სადამოვლებოდა. მალე სულ ჩამოწვა სიბნელე და სიცივე, საჭმლის მონელების დროს უფრო საგრძნობი. ფუნთუშას, მიუხედავად მისი სიმსუქნისა, აკანკალებდა. მაშინ ქ-ნმა დე-

ბრევილმა თავისი ფეხის სათბური შესთავაზა, რომელსაც დილიდან რამდენჯერმე გამოუცვალეს ნახშირი. ქალმაც მაშინვე გამოართვა, რადგან ფეხები სრულიად გათომა. ქალბატონებმა კარე-ლამადონმა და ლუაზომ თავიანთი სათბურები მოლოზნებს დაუთმეს.

მედილიქანსემ ფარნებს მოუკიდა. ფარნებმა ცხოველის სინათლით გაანათა საძირის ცხენების გაოფლიანებულ გავიდან ბოლქვა-ბოლქვად ამავალი ორთქლი და ორსავე მხარეზე დადებული თოვლი, რომელიც სინათლეთა მოძრავ ანარეკლზე თითქო განზე ფართოვდებოდაო.

დილიქანსს შიგნით ვერაფერს არჩევდა კაცი; მაგრამ ერთბაშად ფუნთუშასა და კორნუდეს შორის რაღაც მოძრაობა შეიქნა, და ლუაზოს, რომელიც ცდილობდა სიბნელეში რაიმე გაერჩია, მოეჩვენა, ვითომ გრძელწვერა კაცმა უცბად უკან დაიწია, რადგან თითქო ლაზათიანი, მაგრამ უხმო სილა მოხვდაო.

გზაზე შორიდან გამოჩნდა ცეცხლის პატარა წერტილები: დაბა ტოტი იყო. თორმეტი საათი იარეს; ამას რომ ის ორი საათიც მივუმატოთ, გზაში ცხენებისათვის ქერის მისაცემად და ქარის ამოსაღებინებლად რომ მოანდომეს, გამოვა თოთხმეტი საათი. შევიდნენ დაბაში და დილიქანსი „ვაჭრობის“ სასტუმროსთან გაჩერდა.

დილიქანსის კარი გაიღო. ნაცნობმა ხმაურობამ მოგზაურებს ტანში გააჟრჟოლა. ეს ხმაურობა მიწაზე გაჩხარუნებულ ხმლის ქარქაშისა იყო. ამასთან ერთად მოესმათ, რომ ვიღაც გერმანელმა რაღაც დაიძახა.

თუმცადილიქანსი არ იძროდა, მაგრამ ჩამოსვლით მაინც არავინ ჩამოდიოდა, თითქო ეშინოდათ, ჩამოსვლისთანავე

ვაითუ ყველანი ამოგვხოცონო. ამასობაში გამოჩნდა მედილიჟანსე. ხელში ფარანი ეჭირა, რომელმაც ერთბაშად გაანათა დილიჟანსს შიგნით ორი წყება შეშინებულ თავებისა, პირები დიად დარჩენოდათ, ხოლო თვალები გაოცებისა და თავზარდაცემისაგან გადმოჰკარკლოდათ.

მედილიჟანსეს გვერდით ედგა ძალზე განათებული გერმანელი ოფიცერი, ერთი მაღალი ახალგაზრდა კაცი, მეტად წვრილი და ქერა; ფორმის ტანისამოსი ისე ჰქონდა შემოჭირებული ტანზე, თითქო ახალგაზრდა ქალის კორსეტიამო, ბრტყელი და სანდალოზწასმული ქუდი გვერდზე მოჰქცეოდა, რაცა ინგლისურ სასტუმროს შიკრიკს ამსგავსებდა.

მეტად გრძელი ულვაში ჰქონდა, ულვაშის გრძელი და სწორი ბეწვები თანდათან პატარავდებოდა ორსავე მხარეზე და თავდებოდა ერთადერთ ქერა ბეწვით, ისეთის წვრილით, რომ შეუძლებელი იყო მისი დანახვა; ეს ულვაში თითქო მისი პირის კუთხეებს აწვებოდაო, ლოყებში უნდა მოსწიონო და ტუჩებზე ჩამოშვებულ ნაოჭს ადბეჭდავდა.

გერმანელმა ალზასურის ფრანგულით მიჰმართა მოსულებს ძირს ჩამოსულიყვნენ და მკვახედ უთხრა:

- აბა ჩამობრძანდით, ბატონებო და ქალბატონებო!

პირველად მოლოზნები დაემორჩილნენ წმინდა ქალწულების მორჩილებითა, როგორც ყოველგვარ მორჩილებას დაჩვეულნი; ამათს შემდეგ გამოვიდნენ კონტი და კონტესა, მიჰყვნენ მექარხნე და მისი ცოლი, მერე ლუაზო, რომელმაც წინ წაიგდო თავისი მსხვილი თანამეცხედრე. ლუაზომ მიწას ფეხი დააკარა თუ არა, ოფიცერს უთხრა: „გამარჯობათ, ბატონო“, და ეს უფრო სიფრთხილის გულისათვის უთხრა, ვიდრე ზრდილობისათვის, მაგრამ გერმანელმა, გაკადნიერებულმა,

როგორც ყოვლადღლიერმა ვინმემ, შეხედა, მხოლოდ პასუხი არ აღირსა.

ფუნთუშა და კორნულე თუმცა დილიჯანსის გამოსასვლელთან ისხდნენ, მაგრამ ყველაზე ბოლოს გამოვიდნენ, მტრის წინ თავი მძიმედ და ქედმაღლურად უჭირათ. მსხვილი ქალი ცდილობდა თავი მაგრად დაეჭირა და დამშვიდებული ყოფილიყო, ხოლო დემოკრატი ცალის, ცოტა არ იყოს, ტრაგიკულისა და აკანკალებულის ხელით თავის მოწითალო გრძელ წვერს იწეწდა, ორსავეს უნდოდა, რაც შეიძლებოდა, თავი ღირსეულად დაეჭირათ, რადგან ესმოდათ, რომ ასეთ შეხვედრის დროს ყოველი მათგანი ასე თუ ისე თავის სამშობლოს წარმომადგენელი იყო; ორივე თანაბრად იყვნენ აღელვებულნი მათი თანამგზავრების ზრდილობიანობით და ამიტომ ფუნთუშა ცდილობდა თავი უფრო მაღლა დაეჭირა, ვიდრე მის მეზობლებს, ამ პატიოსან ქალებს; კორნულე კი რაკი გრძნობდა, რომ იმას მაგალითი უნდა ეჩვენებინა სხვებისათვის, განაგრძობდა მთელი თავის ტანის მიხვრა-მოხვრით გამოეხატა თავისი მისია წინააღმდეგობისა, რომელიც მან დაიწყო იმ დროიდანვე, როცა გზების გადათხრას მიჰყო ხელი.

სასტუმროს ვრცელ სამზარეულოში შევიდნენ. გერმანელმა მგზავრთ ჩამოართვა წამოსვლის ნებართვა, მთავარსარდლის ხელმოწერილი, სადაც აღნიშნული იყო გვარები, სხვადასხვა ნიშნულობანი და ხელობა ყოველი მოგზაურისა, კარგად გასინჯა მთელი ეს ხალხი და თვითუფლი მათგანი შეამოწმა ნებართვაში აღნიშნულ ცნობებთან.

მერე უცბად წამოიძახა — კარგიო, და იქაურობას მოშორდა.

გულზე ეფონათ, ყველას შიოდა; შეუკვეთეს ვახშამი. ნახევარ საათზე ადრე ვერ გაუშლიდნენ სუფრას, და სანამ ორი მსახური ქალი ფაცურობდა ვახშმისათვის, მგზავრები ოთახების დასათვალიერებლად წავიდნენ. ოთახები ყველა ერთ გრძელ ტალანში იყო ჩარიგებული და სულ ბოლოს შუშინი კარი იყო საჭიროების ადგილისა.

ის იყო, სუფრას მიუსხდნენ, რომ თვით სასტუმროს პატრონი გამოჩნდა. ძველად ცხენებით ვაჭრობდა, მსხვილი კაცი იყო, გულზე ხიხინი ჰქონდა, ლაპარაკის დროს ყოველ სიტყვას სტვენითა და ხრიალით ამბობდა, ყელში სულ ახროტინებდა. მამამისს გვარად დაუტოვებია ფოლანვი.

იკითხა:

- ელიზაბეტ რუსეს ქალი?
- ფუნთუშას გააჟრჟოლა და მიუბრუნდა:
- მე გახლავართ.

პრუსიელი ოფიცერი დაუყოვნებლივ გიბარებსთ, სალაპარაკო მაქვსო.

– მე?

- დიახ, თქვენ, თუ კი მართლა ელიზაბეტ რუსე ბრძანდებით.

ქალი შემფოთდა, ერთ წამს დაფიქრდა, მერე პირდაპირ უთხრა:

- შეიძლება, მაგრამ მე კი არ წავალ.

მის გარშემო მოძრაობა შეიქნა; ყველა კითხულობდა, ამ ბრძანების მიზეზს ეძებდა. კონტი მიუახლოვდა:

- უარს ტყუილად ამბობთ, ქალბატონო! თქვენს უარს შეიძლება დიდი უსიამოვნება მოჰყვეს არა მარტო თქვენთვის, არამედ ყველა თქვენი თანამგზავრისათვის. თქვენზე ძლიერს

თავის დღეში არ უნდა ეურჩოთ. თქვენი მასთან მისვლა, უეჭველია, საშიში სრულებით არ იქნება; ალბათ რისამე კითხვა დაავიწყდა და ახლა უნდა გამოგკითხოთ.

ყველამ კონტს დაუჭირა მხარი, დაუწყეს ხვეწნა, აჩქარებდნენ. აფიცებდნენ და ბოლოს, როგორც იქნა, დაიყოლიეს; ამიტომ რომ ყველას ეშინოდა, უბრალო თავის დაქნევის გულისათვის საქმე შეიძლება ცუდად გათავდესო.

ბოლოს ფუნთუშამ უთხრა: — რა თქმა უნდა, თქვენის ხათრისთვის ვშვრები ამას! კონტესამ ხელი დაუჭირა:

- ჩვენც მაღლობას მოგახსენებთ, ჩემო კარგო! ქალი გავიდა. იმის დაბრუნებას ელოდებოდნენ, რომ სუფრას მოსხდომოდნენ.

თითოეული მათგანი ნანობდა, რომ ამ ფიცს და დამთხვეულ ქალის ალაგას თვითონ არ იყო და ვინიცობაა, დაეძახნათ, წინდაწინ იგონებდნენ გულისამრევ სააღერსო სიტყვებს საპასუხოდ.

ათი წუთის შემდეგ ქალი გამოჩნდა, ქშენა ავარდნილი, გაწითლებული, გაანჩხლებული, თანაც იმეორებდა:

- ოხ, ეს საზიზღარი! ოხ, ეს საზიზღარი!.. ყველას უნდოდა გაეგო, რა მოხდა, მაგრამ ქალი არას ამბობდა, და რადგან კონტი ჩააცივდა, ფუნთუშამ დიდის ღირსებით უპასუხა:

- არა, თქვენ არ შეგეხებათ, არ შემიძლია გითხრათ!

მოუსხდნენ ერთ მაღალ საწვწეს, საიდანაც კომბოსტოს სუნი ამოდიოდა. მიუხედავად ამ შემოფოთებისა, ვახშამმა მხიარულად ჩაიარა. ბურახი კარგი იყო, ცოლ-ქმარმა ლუაზომ და მოლოზნებმა სიიაფის გულისთვის ბურახი მოატანინეს. სხვებმა ღვინო მოითხოვეს; კორნუდემ ლუდი ირჩია. ბოთლს განსაკუთრებული ხერხითა ხსნიდა. სასმელს ქაფიანს ასხამდა

ჭიქაში, მერე ჭიქას ლამპაზე უყურებდა, რომ კარგად დაეფასებინა სასმელის ფერი. პირზე რომ მოიყუდებდა ჭიქას, მისი გრძელი წვერი, რომელსაც მისი საყვარელი სასმელის ფერი გადაჰკრავდა, თითქო სიამოვნებისაგან ცანცარებსო; თვალები სულ ერთავად ტოლჩისაკენ ეჭირა. და ისეთი სახე ჰქონდა, თითქო ამ კაცის ერთადერთი და თანდაყოლილი დანიშნულება სმა ყოფილიყოსო; კაცი იფიქრებდა, ამ დროს იგი თითქო ცდილობს თავის გონებაში ერთმანეთს დაუახლოვოს და დაუნათესაოს ორი ვნება, რომელიც ავსებდა მთელ მის სიცოცხლეს: ლუდი და რევოლუცია; და მართლაც, არ შეეძლო ლუდი დაეღია ისე, რომ არ მოჰგონებოდა რევოლუცია.

ბ-ნი და ქ-ნი ფოლანვი სუფრის ბოლოს ისხდნენ. კაცი გაფუჭებულ ლოკომოტივითა ქმინავდა და ჭამის დროს ლაპარაკი უჭირდა, მაგრამ ცოლი კი აღარ ცხრებოდა. გაუზიარა მოსულებს, თუ რა განიცადა პრუსიელთა შემოსვლის დროს, ან რასა შვრებოდნენ, რას ამბობდნენ; წყევა-კრულვით იხსენიებდა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ დიდი ხარჯი მოუვიდა, და მერეც იმიტომ, რომ ორი ვაჟი ჯარში ჰყავდა. განსაკუთრებით კონტესას მიჰმართავდა და თანაც თავი მოსწონდა, რომ ასეთ საზოგადოების გამოჩინებულ პირს ელაპარაკებოდა.

მერე ხმა დაიდაბლა, რომ საჩოთირო ამბებიც ეამბნა; ქმარი ხანდახან გააწყვეტინებდა:

— ქალბატონო ფოლანვი, კარგია, გაჩუმდი ერთი. — მაგრამ ქალი ყურს არ ათხოვებდა და განაგრძობდა:

— დიახ, ქალბატონო, ეს ხალხი ღმერთს იმისთვისდა გაუჩენია, რომ კარტოფილი და ღორის ხორცი ჰხეთქოს, მერე ისევ ღორის ხორცი და ისევ კარტოფილი, ჰო, თქვენმა მზემ! ტყუილი გახლავთ. ვითომც სუფთები იყვნენ! ტყუილია, თავი ნუ

მომიკვდება. თქვენთან ბოდში მომითხოვია და ყველგან აბინძურებენ. თქვენ უნდა ნახოთ, მთელს დღეებს ვარჯიშობას რომ ანდომებენ; ერთავად მინდვრად არიან და: ხან წინ მიდიან, ხან უკან, ხან აქეთ მოტრიალდებიან, ხან იქით. ამას არ ერჩივნათ, დაგდებულებიყვნენ თავიანთ სოფელში, რამე მოეყვანათ მიწაზე, ან გზები შეეკეთებინათ! რა ბრძანებაა! უნდა მოგახსენოთ, რომ ეს სამხედრონი არავისთვის არიან გამოსადეგნი, არა, ღმერთმანი! საწყალმა ხალხმა კი უნდა არჩინოს მხოლოდ იმისათვის, რომ ადამიანთა ხოცვა ისწავლონ! მართალია, მე ერთი უსწავლელი მოხუცი დედაკაცი გახლავართ, მაგრამ იმათ რომ ვუყურებ, დილიდან საღამომდე მიწას როგორა სტკეპნიან, ჩემს თავს ვუთხარი: პირდაპირ საცოდაობაა, ქვეყნიერებას რო ვუცქერი: ზოგი ცდილობს აღმოაჩინოს რამე და კაცობრიობას გამოადგეს, ზოგიც ამდენს იმისთვის იტანჯვის, რომ სხვას ავნოს. მართლადაც, განა საშინელება არ არის, ხოცონ ხალხი, სულ ერთია, ესენი ვინც იქნებიან: პრუსიელები, ან ინგლისელები, ან კიდევ პოლონელები ან თუ ფრანგები. თუ ვისიმე შური იძიეთ იმიტომ, რომ იმან რამე დაგიშავათ, ეს ცუდია, რადგან კანონი დაუსჯელს არ გაგიშვებსთ: მაგრამ ჩვენს ბიჭებს ნადირსავით რომ სწყვეტენ თოფებით, ეს კარგ საქმედ ითვლება, იმიტომ რომ ვინც მეტი დახოცა, აჯილდოვებენ, არა, ბატონო, ამას ჩემს დღეში ვერ მისწვდება ჩემი გონება.

კორნუდეს ხმა გაისმა: — ომი — ბარბაროსობაა, როცა მშვიდობისმოყვარე მეზობელს მიესევა მტერი: მაგრამ თუ შენს სამშობლოს იცავ მომხდურისაგან, მაშინ ომი წმიდა მოვალეობაა ყველასი. მოხუცმა ქალმა თავი ძირს დახარა და უპასუხა:

- მართალსა ბრძანებთ, თავის დაცვა — სხვა საქმეა; მაგრამ ჩემის აზრით, უფრო უპრიანი არ იქნებოდა, ჯერ ის

მეფენი დაეხოცნათ, ვინც თავიანთი პირადი სიამოვნებისათვის ასტეხენ ხოლმე ამ ომს?

კორნუდეს თვალები აენთო:

- ყოჩად, მოქალაქევ! — უთხრა ქალს.

ბ-ნი კარე-ლამადონი ძალზე დაფიქრდა. მართალია, დიდი თავყვანისმცემელი იყო გამოჩენილ სარდლებისა, მაგრამ ამ სოფლის დედაკაცის საღმა მსჯელობამ მაინც დააფიქრა, ვინ იცის, როგორ ააყვავებდა ქვეყანას ამდენი უსაქმური, და, მამასადამე, დამღუპველი ხალხი, ვინ იცის, ამდენი ძალა, რომელსაც უნაყოფოდ აჭმევენ და ასმევენო, საქმეში რომ ჩააბას კაცმა, როგორ წასწევდა წინ ინდუსტრიას, რომლის გაფურჩქვნას დღევანდელ პირობებში ასობით წლები უნდაო!

ლუაზო კი თავისი ადგილიდან წამოდგა, სასტუმროს პატრონს მიუჯდა და დაბალი ხმით რაღაზედაც დაუწყო ლაპარაკი. მსხვილი კაცი იცინოდა, ახველებდა, ინერწყვებოდა, მისი უშველებელი მუცელი სიხარულისაგან თახთახებდა, თავისი მეზობლის ხუმრობას ყურს რომ უგდებდა და, ბოლოს, მისგან გაზაფხულისათვის, როცა პრუსიელები წავიდოდნენ, ექვსი კასრი ბორდოს ღვინო იყიდა.

ივანშემეს თუ არა, ისე იყვნენ მოწყვეტილნი, რომ მაშინვე ლოგინს მიაშურეს დასაძინებლად.

ამასობაში ლუაზომ, რომელმაც კარგად მოინიშნა, ვინ სად დაწვა, თავისი ცოლი ლოგინში ჩააწვინა, მერე ხან ყური მიაღო და ხანაც თვალი კლიტის ნახვრეტს, რომ დაენახა, როგორც თვითონ ეძახდა ხოლმე: „ტალანის საიდუმლოებანი“.

ერთმა საათმა დრომ რომ გაიარა, შრიალი მოესმა. მაშინვე შეიჭვრიტა, დაინახა, რომ ფუნთუშას ლურჯი ქაშმირის, თეთრი მაქმანებმოვლებული პენუარი მოესხა და უფრო

ჩამრგვალებულიყო. ხელში შანდალი დაეჭირა და საჭირო ალაგისაკენ მიდიოდა. ტალანის სულ ბოლოში. მაგრამ ამ დროს გვერდის ოთახის კარი სანახევროდ გაიღო და როცა ქალი რამდენსამე წამს უკან გამოტრიალდა, კორნუდე ნახევრად გახდილი აედევნა. დაბალი ხმით ლაპარაკობდნენ, მერე ორივენი გაჩერდნენ. ფუნთუშას ეტყობოდა, რომ თავის ოთახის კარში მაგრად იყო ჩამდგარი და შიგ არავის უშვებდა, ლუაზოს, სამწუხაროდ, არ ესმოდა მათი ნათქვამი, მაგრამ ბოლოს, როცა აუწიეს ხმას, ზოგიერთ სიტყვას ყური მოჰკრა. კორნუდე გაცხარებული სთხოვდა. ასე ეუბნებოდა:

- რა სულელი რამა ხართ! ნეტავ ვიცოდე, რა დაგიშავდებათ ამით?

ქალმა განაწყენებულის კილოთი უპასუხა:

— არა, ჩემო კარგო, არის წუთები, როცა ერთი რამ არ შეიძლება; მერე ისიც აქ! სირცხვილი იქნებოდა, საშინელი!

კორნუდეს, ცხადია, არ ესმოდა, თუ რატომ არ უნდა ყოფილიყო შესაძლებელი და ჰკითხა, რატომ? ქალი გაბრაზდა და უფრო აუწია ხმას:

- რატომ? არ გესმით, რატომ? რატომა და, როცა სახლში პრუსიელები არიან, და შეიძლება გვერდითაც იყოს...

კორნუდე გაჩუმდა. ამ პატრიოტულმა მორცხვობამ მეძავ ქალისამ, რომელიც არ თანხმდებოდა კაცს მისთვის ეალერსნა იმიტომ, რომ გვერდით მტერი იყო, გულში გაუღვიძა მთვლემარე ღირსება ადამიანისა, ერთი კი აკოცა და ფეხაკრეფით თავის ოთახის კარს მიაშურა.

ამან ლუაზო ძალზე ადანთო, კლიტის ხვრელს მოშორდა, ერთი კი შემოპროწიალდა ოთახში, დაიხურა მადრასი, მერე

ასწია საბანს, რომლის ქვეშ იწვა თავისი თანამეცხედრის გაფიჩხებული სხეული, კოცნით გააღვიძა და ჩასჩურჩულა ყურში:

- ხომ გიყვარვარ, გენაცვალე? ამის შემდეგ მთელი სახლი სიჩუმემ მოიცვა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ საიდანღაც, გაურკვეველ მიმართულებით, შეიძლება სარდაფიდან და, ისიც შეიძლება, — სხვენიდან ყოფილიყო, მოისმა ძლიერი ხვრინვა, ნირშეუცვლელი, ზომიერი, ყრუ და გაგრძელებული ხმაურობა, თითქო ორთქლით გავსებული ქვაბი ზანზარებსო: ბ-ნფოლანვის ეძინა.

მგზავრებმა მოილაპარაკეს, მეორე დღეს დილის რვა საათზე დასდგომოდნენ გზას. დანიშნულ დროს ყველამ სამზარეულოში მოიყარა თავი, მაგრამ დილიჯანსი, რომლის მუშამბა თოვლით იყო დატვირთული, განმარტოებით იდგა შუა უბოში, არც ცხენები ება და აღარც მედილიჯანსე ჩანდა, სადმე. დაუწყეს ძებნა მედილიჯანსეს თავლაში, საბძელში, ურმების დასაბინავებელ შენობაში, მაგრამ ამაოდ. მაშინ მამაკაცებმა თქვეს, დაბაში სადმე იქნებოდა და გამოვიდნენ საძებნელად. ჯერ მოედანზე გავიდნენ. მოედნის ბოლოში ეკლესია იდგა და ორსავე მხარეზე დაბალი სახლები მოჩანდა, სადაც რამდენიმე პრუსიელი სალდათი დაინახეს. პირველი ჯარისკაცი, რომელიც მათ შეამჩნიეს, კარტოფილსა ფცქვნიდა. მეორე, მოშორებით, დალაქის ღუქანს ასუფთავებდა. მესამე, თვალეზამდე წვერით დაფარული, ატირებულ ბაღლსა ჰკოცნიდა და მუხლზე არწევდა დასაჩუმებლად; სოფლის მსხვილი დეკვაცები, რომელთაც ქმრები „ომის ჯარში“ ჰყავდათ, თავიანთ მორჩილ და გამგონე დამპყრობელთ ნიშნებით ეუბნებოდნენ, რა საქმე უნდა გაეკეთებინათ: შეშა დაეპოთ, ცხელი წვენი პურის ნატეხებზე

დაესხათ, ყავა დაეფქვათ, ერთი მათგანი თავის მასპინძელს, სრულებით საცოდავ მოხუც ქალს, სარეცხსაც კი ურეცხავდა.

კონტმა გაოცებულმა, ეკლესიიდან გამომავალ მნათესა ჰკითხა, ე, რა ამბავიაო? ამაზე ეკლესიის ძველმა ვირთაგვამ ასე უპასუხა:

- ესენი ხომ ავები არ არიან! როგორც ამბობენ, ესენი პრუსიელებიც კი არ არიანო, უფრო შორ ადგილებიდან არიან თურმე მოსულნი: არ ვიცი კი, სახელდობრ საიდან; თავიანთ ქვეყნებში ცოლ-შვილი დაუტოვებიათ; ომი მაინცადამაინც ბევრ არაფრად ეპიტნავებათ. დარწმუნებული ვარ, რომ მანდაც ისევე მისტირიან თავიანთ ქმრებს, როგორც აქ; და ომს იქაც იგივე საცოდავობა მოჰყვება, როგორც ჩვენში, აქ, ღვთით, ჯერ კიდევ არა გვიჭირს რა, ამიტომ რომ ესენი არას გვიშავებენ და ისე მუშაობენ, თითქოს თავიანთ სახლში არიან და ირჯებიანო. ხომ მოგეხსენებათ, ბატონო, გაჭირვებულმა ხალხმა ერთმანეთს უნდა უშველოს ხოლმე... ამ ქვეყნის დიდებულნი გახლავან ომის ამტეხნი.

კორნუდეს გული აემღვრა, რომ დაინახა დამპყრობელნი და დაპყრობილნი ერთმანეთთან კარგად განწყობილნი არიანო. არჩია გაბრუნებულიყო და სასტუმროში ჩაკეტილიყო. ლუატომ იოხუნჯა: პრუსიელებმა ხალხი უნდა მოამრავლონო. ბ-ნმა კარულამადონმა მძიმედ წარმოთქვა: „დანგრეული უნდა ადადგინონო“. მაგრამ მედილიყნე მაინც ველარ ეპოვნათ. ბოლოს, ერთ კაფეში მიაგნეს, ოფიცრის მხლებელ სალდათთან ერთად ძმურად მაგიდას უჯდა. კონტმა დაუძახა:

- აკი გიბრძანეთ, ცხენები დილის რვა საათისათვის შეგებათ?

- ღიახ, მიბრძანეთ, მაგრამ თქვენს შემდეგ სხვა რამეც მიბრძანეს...
- რა გიბრძანეს?
- ცხენები სრულებით არ შეაბაო.
- ეს ვიღამ გიბრძანა?
- ვინა და პრუსიელმა კომენდანტმა.
- რისთვის?
- აბა რა ვიცი! წაბრძანდით და ჰკითხეთ. ცხენები არ

შეაბაო და მეც აღარ ვაბამ. მორჩა და გათავდა!

- თვითონ კომენდანტმა გიბრძანათ?
- არა, ბატონო, სასტუმროს პატრონმა მიბრძანა, თავისად.
- როდის?
- გუშინ საღამოს, სანამ დავწვებოდი.
სამივე მიმავალი მეტად დაღონებულნი გამობრუნდნენ.

მოიკითხეს ბ-ნი ფოლანვი, მაგრამ მოახლემ უპასუხა, ბატონი თავის ასტმის გამო დილის ათ საათზე ადრე თავის დღეში არა დგებო. ნაბრძანები აქვს: ამაზე ადრე თუ ცეცხლი არ გაუჩნდა რასმე, ისე არამც და არამც არ გამაღვიძოთო.

მოინდომეს თვითონ ოფიცრის ნახვა, მაგრამ ეს სრულებით არ შეიძლებოდა, თუმცა ამავე სასტუმროში იდგა. სამოქალაქო საქმეებისათვის მისი ნახვის ნება მარტო ბ-ნი ფოლანვისა ჰქონდა. მეტი რა გზა ჰქონდათ, უნდა დაეცადნათ, ქალები თავ-თავიანთ ოთახებში ავიდნენ.

კორნუდემ სამზარეულოს მატლა ბუხართან მოიკალათა, სადაც დიდი ცეცხლი გიზგიზებდა. წინ დაადგმევინა საყავოს ერთი პატარა მაგიდა და ერთი ტოლჩა ლუდი, მერე ამოიღო

თავისი ჩიბუხი, რომელსაც დემოკრატები ისეთსავე პატივსა სცემდნენ, როგორც თვით კორნუდეს, თითქოს რაკი კორნუდეს ემსახურებოდა ჩიბუხი, ამითვე სამშობლოს ემსახურებოდა. ეს ჩიბუხი საუცხოო რამ იყო, ზღვის ქაფისა, მშვენივრად გამჭვარტლული, მისი პატრონის კბილებივით გამავებული. თუთუნის სუნით გაჟღენთილი, მოღუნული, ლაპლაპა, განუშორებელი და მისი სახის ნაწილი, შემვსები. არ იძროდა, თვალებს ხან ცეცხლის ალს მიაშტერებდა, ხანაც ქაფს, გვირგვინად ლუდიან ჭიქას რომ მოეგდო; რამდენჯერაც მოსვამდა, იმდენჯერ კმაყოფილის სახით თავის გრძელ, გამხდარ თითებს ქონიან თმაზე გადაისვამდა, პირით კი ქაფით დასველებულ ულვაშს შეიწუნწნიდა.

ცოტა გავიარო, თორემ ფეხები დამებუჟაო და ადგილობრივ სირაჯებთან წავიდა ღვინის გასაყიდად. კონტმა და მექარხნემ პოლიტიკაზე გააბეს ლაპარაკი. ერთმანეთს თავ-თავიანთ აზრს ეუბნებოდნენ იმაზე, თუ რა მოელის საფრანგეთსო, ერთი ამბობდა, ორლუანელების გვარი იხსნის საფრანგეთსო, მეორეს ვინმე სხვა უცნობ მხსნელის გამოჩენის იმედი ჰქონდა, გმირის ვისიმე, რომელიც სწორედ იმ დროს მოევლინებოდა ქვეყანას, როცა ყველას ყოველი იმედი გადაუწყდებოდა, ყველაფერი ხელიდან წასული ეგონებოდა; ეს ვინმე შეიძლება დუ-გესკლენის მსგავსი იქნეს, ან კიდევ ჟანა დ'არკისა? ვინ იცის, ახალი ნაპოლეონ I-ლიც მოგვევლინოს? ოჰ, ნეტავი უფლისწული ასე ახალგაზრდა კი არ იყოსო!

კორნუდე ყურს უგდებდა და იღიმებოდა, როგორც ადამიანი, რომელსაც საიდუმლოებანი ბედისა წინასწარვე აქვს ხოლმე განჭვრეტილი.

საათმა ათი დაჰკრა, რომ ბ-ნი ფოლანვიც გამოჩნდა. მაშინათვე ჰკითხეს ამბავი; მაგრამ იმან მხოლოდ განიმეორა ორჯერ თუ სამჯერ, უცვლელად, ერთი და იგივე სიტყვები: ოფიცერმა ასე მითხრაო: „ბატონო ფოლანვი, უბრძანეთ, ამ მოგზაურებისათვის ხვალ დილიჯანსში ცხენები არ შეაბან. სანამ ნებას არ მივცემ, აქედან ფეხი არ მოიცვალონ, ხომ გესმით? მამ ეგრე!“

მაშინ ოფიცრის ნახვა მოინდომეს. კონტმა თავისი სადარბაზო ბარათი გაუგზავნა. ბ-ნმა კარე-ლამადონმა ზედთავისი გვარი მოაწერა და თანაც თავისი ტიტულებიც მიუმატა. პრუსიელმა შემოუთვალა, ეს ორი კაცი მოვიდეს მოსალაპარაკებლად მაშინ, როცა ვისაუზმებო, ესე იგი პირველ საათისათვისო.

ქალები გამოჩნდნენ და ცოტა რამ საჭმელი ჭამეს, მიუხედავად დარდიანობისა. ფუნთუშას უქეიფობა და ძალზე ადელვება ეტყობოდა.

ის იყო, ყავის სმას ათავებდნენ, რომ ოფიცრის მხლებელი შემოვიდა და ოფიცერთან წამსვლელთ შეატყობინა, წამობრძანდითო,

ლუაზო ამ ორს შეუერთდა. უნდოდათ კორნუდეც გაჰყოლოდათ, რომ ამით უფრო მეტი საზეიმო ხასიათი მიეცათ თავიანთ თხოვნისათვის, მაგრამ იმან ამაყად განაცხადა: მე გერმანელებთან არავითარი ურთიერთობა არ მინდა მქონდესო; მერე კვლავ მიუჯდა მაგიდას და მეორე ტოლჩა ლუდი ითხოვა.

სამი კაცი ამოვიდა ზევით და შეუძღვნენ სასტუმროს ერთ ყველაზე უკეთეს ოთახში. ოფიცერი აქ დაუხვდათ. სავარძელში გადაწოლილს ფეხები ბუხრის რაფაზე შემოეწყო, ფაიფურის გრძელი ჩიბუხი დაეჭირა და თუთუნს ეწეოდა, წამოსხმული

ჰქონდა მხიარული ფერის ხალათი, რომელიც, ალბათ, ვინმე გემოვნება-განვითარებულ და გაქცეულ ბურჟუას, უპატრონოდ დაგდებულ სახლიდან მოიტაცა. ხეზე არ წამს, დგომია, არც მისალმებია, აღარც ზედ შეუხედნია მათთვის, ნამდვილი ნიმუში იყო ძლევამოსილი მეომრის ჩვეულებრივი სინეპრისა.

კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ, ბოლოს, როგორც იქნა, ჰკითხა:

- რა გინდათ?

პირველმა კონტმა დაიწყო ლაპარაკი: — გვინდა წავიდეთ, ბატონო.

- არა!

- შეიძლება გავკადნიერდე და გკითხოთ უარის მიზეზი?

- იმიტომ, რომ არ მინდა.

— დიდი პატივისცემით მოგახსენებთ, ბატონო, რომ მთავარსარდალმა ღიებში ჩასვლის ნებართვა მოგვცა; არა მგონი რამე გვექნეს ისეთი, რომ თქვენი რისხვა დაგვემსახურებინოს.

- არ მინდა და... მორჩა... შეგიძლიათ ძირს ჩახვიდეთ, სამთავემ თავი დაუკრეს და ოთახიდან გავიდნენ.

მთელი ნაშუადღევი დაღონებულები იყვნენ. ვერ გაეგოთ გერმანელის ჯიუტობის მიზეზი: თავში ათასი უცნაური აზრი ებადებოდათ. ყველანი სამზარეულოში იყვნენ თავმოყრილნი და დაუსრულებლივ ბჭობდნენ. ვინ იცის, რას არ ამბობდნენ!.. იქნება მძევლებად ვუნდივართ, მაგრამ რა აზრით? — ან ტყვეებად უნდა წავიყვანონო? ან, უკეთ, ძვირად თავი უნდა მოგვასყიდვიონო? ამის გაფიქრებამ თავზარი დასცა ყველას. ყველაზე მეტად გულგახეთქილები ისინი იყვნენ, ვისაც მეტი შეიძლება ჰქონდა, ამიტომ რომ ხედავდნენ, იძულებულნი იქნებოდნენ, სიცოცხლის შესანარჩუნებლად, ამ უკმეხ სალდათის ხელში მთელი ტომარა სავსე ოქრო ჩაეყარნათ.

თავებს იმტვრევდნენ, რომ მოეგონებინათ, ცოტა არ იყოს, დასაჯერებელი ტყუილი, არ გამოეჩინათ თავიანთი სიმდიდრე, თავები ღარიბებად მოეჩვენებინათ, უკიდურეს ღარიბებად. ლუაზომ თავისი საათის ძეწკვიც კი მოიხსნა და ჯიბეში დამალა. მოტანებულმა ღამემ წუხილი უფრო გაუძლიერათ. ღამპას მოუკიდეს და რადგან სადილობამდე ჯერ კიდევ ორი საათი იყო, ქ-ნმა ლუაზომ, მოდით ბანქო ვითამაშოთ, გავერთობითო. აზრი ყველას მოეწონა. თვით კორნუდემ, ზრდილობის გულისათვის, თავისი ჩიბუხი გააქრო და ისიც ჩაუჯდა ბანქოს სათამაშოდ.

კონტმა ქალადი აურია და დაარიგა. ფუნთუშამ ხელად წამოიძახა — ოცდათერთმეტიო, და მალე ისე გაერთნენ თამაშით, რომ გადაავიწყდათ კიდევ შიში, გულში რომ შეეპარათ. კორნუდემ ისიც კი შეამჩნია, რომ ცოლ-ქმარი ლუაზო ერთმანეთს რაღაცას ანიშნებდნენ და სხვების მოტყუებას აპირებდნენ.

ის იყო, სადილად უნდა დამსხდარიყვნენ, რომ ბ-ნი ფოლანვიც შემოვიდა და თავისი ხრინწიანი ხმით წარმოთქვა:

— პრუსიელი ოფიცერი ელიზაბეტ რუსეს ქალს ეკითხება, თუ რას ფიქრობსო?

ფუნთუშა ზეზე წამოდგა, მთლად გაფითრებული; მერე ერთბაშად ალი ავარდა სახეზე და ყელში ისე წაუჭირა ბრაზისაგან, რომ ხმის ამოდება გაუჭირდა. როგორც იყო, წამოიძახა:

— უთხარით ამ საზიზღარს, ამ ბინძურს, ამ პრუსიელ ლევს, რომ თავის დღეში არ ვიზამ, გაიგონე, თავის დღეში, თავის დღეში...

გაბერილი მესასტუმროვე გავიდა. მაშინ ფუნთუშას შემოეხვივნენ, დაუწყეს გამოკითხვა, ყველამ ჭირი მოსჭამა,

გვითხარი, რა უნდაო. ქალი ჯერ უარზე იდგა. მაგრამ მერე ბრაზი მოერია და წამოიწივლა:

— რასა მთხოვს?.. რა უნდა ჩემგან? რა და ჩემთან დაწოლა ნებავს!..

ქალის პასუხი საწყენად არავის დარჩენია, იმდენად იყვნენ აღშფოთებულნი... კორნუდემ თავისი ჭიქა უცბად ისე დაახეთქა მაგიდაზე, რომ გაუტყდა. ყველანი აღივსნენ სიბრაზით ამ საძაგელ ბრიყვისადმი, ყველანი გააბოროტა მისმა თავგასულობამ, ყველანი შეერთდნენ საწინააღმდეგოდ, თითქოს ყველას მოსთხოვეს თავისი წილი მსხვერპლის გაღებაო. ეს ხალხი სწორედ ძველ ბარბაროსებივით იქცევაო, განაცხადა კონტმა. განსაკუთრებით ქალებმა გამოუცხადეს თავიანთი თანაგრძნობა და მოეფერნენ. მოლოზნები, რომლებიც, მხოლოდ ჭამის დროს გამოჩნდებოდნენ ხოლმე, თავდახრილები, არას ამბობდნენ.

მანც ისადილეს, როცა პირველმა გულისწყრომამ გადაუარათ; ლაპარაკით კი ცოტას ლაპარაკობდნენ: უფრო დაფიქრებულები იყვნენ.

ქალები ადრე წამოიშალნენ სუფრიდან, მამაკაცები დარჩნენ, თან თუთუნსა სწევდნენ. შეადგინეს ერთგვარი კრება, რომელშიაც ბ-ნ ფოლანვისაც მიაღებინეს მონაწილეობა. განზრახვა ჰქონდათ მოხერხებულად გამოეკითხნათ — რა გზას გვირჩევ, რომ ოფიცრის ჯიუტობას კისერი მოვუგრიხოთო? მაგრამ ის თავის ბანქოზედა ფიქრობდა, ყური არავის ათხოვა, არც არა უპასუხა ვისმე: ერთავად ამას გაიძახოდა: „ვითამაშოთ!“ ისე გაერთო თამაშობით, რომ ამოხველებაც კი დაავიწყდა, რაც მის გულს ორგანს ამსგავსებდა. მის მსტვენავ ფილტვებიდან მოისმოდა მთელი ასტიმატური გამმა, გესმოდათ ბოხი ნოტები,

თანაც გესმოდათ გულის გამაწვრილებელი ხრინწიანი ხმა პატარა მამლაყინწებისა, რომლებიც ცდილობენ როგორმე დაიყვილონ ხოლმე.

ბ-ნმა ფოლანვიმ მაღლა ასვლაზედაც კი უარი თქვა, როცა მისი ცოლი, რომელსაც ძილისათვის თავი უკვდებოდა, ძირს ჩამოვიდა მის წასაყვანად. მაშინ ქალი მარტო წავიდა, რადგან „მედილიე“ იყო და დილით მზეს ისიც უნდა აყოლოდა, ხოლო მისი კაცი „მელამურა“ იყო, სულ მუდამ მზად იყო მეგობრებთან ღამეები თეთრად გაეთენებინა ხოლმე. ერთი კი მიაძახა ცოლს: ჩემი ქათმის წვენი ცეცხლა პირას დადგო, და ისევ შეუდგა თამაშს. როცა დაინახეს, ამ კაცისაგან ხეირი არ იქნებაო, განაცხადეს, დროა დავიშაღნეთო, და თავ-თავის ოთახს მიაშურეს.

მეორე დილას ადრე აღგნენ, რაღაც გამოურკვეველი იმედი ჰქონდათ; უფრო კი სურვილი, როგორმე წასულიყვნენ, თან შიში, ვაითუ კიდევ ერთ დღეს ამ საშინელ პატარა სასტუმროში დავრჩეთო.

ვაი, რომ ცხენები ისევ თავლაში ებნენ, მედილიქანსე სადღაც გადაკარგულიყო, უსაქმურობისაგან დილიქანსს რამდენჯერმე შემოუარეს.

საუზმეზე ყველას ცხვირ-პირი ჩამოსტიროდა; თითქო ფუნთუშას, ცოტა არ იყოს, ემდუროდნენო, ამიტომ რომ ღამით ბევრი იფიქრეს და აზრი ცოტათი შეეცვალათ. ახლა თითქმის მტრულად უყურებდნენ ამ ქალს — რატომ არ ინახულა ჩუმად პრუსიელი და სახათაბალოდ რად გაუხადა თავის თანამგზავრებს საქმეო. იმაზე ადვილი რაღა უნდა ყოფილიყო? და ან ვინგაუგებდა რასმე? შეეძლო ეთქვა ოფიცრისათვის, ისინი მეცოდებიან და ამიტომ დავყევი თქვენს ნებასო, და ამით თავის

გასამართლებელი საბუთი ექნებოდა. მერე, ოფიცერთან დაწოლით რა უნდა დაშავებოდაო!

მაგრამ თავის ფიქრს ჯერ არავინ ამჟღავნებდა.

ნაშუადღევს რაკი ძალზე მოწყენილები იყვნენ, კონტმა წინადადება მისცა: დაბის შემოგარენი დავათვალიეროთო. ყველამ, რაც შეიძლებოდა, თბილად ჩაიცვა და პატარა ჯგუფი გამოვიდა. დარჩნენ მხოლოდ კორნუდე, რადგან ბუხრის პირას ყოფნას რჩებოდა, და მოლოზნები, რომლებიც მთელს დღეს ან ეკლესიაში ატარებდნენ, ანდა მღვდელთან.

სიცივეს ღლითი დღე ემატებოდა, საშინლად ჰკაწრავდა ცხვირსა და ყურებს, ფეხები ისე ჰქონდათ გათოშილი, რომ ყოველი ფეხის გადადგმა ჯოჯოხეთი იყო, და როცა სოფელი გამოჩნდა, ისე საშინლად დაღვრემილად და მწუხარედ მოეჩვენათ, ამ თვალუწვდენელ თეთრ სუდარას ქვეშ დაფარული, რომ ყველანი, გულგათოშილნი და სულმეწუხებულნი, მაშინვე უკან მოტრიალდნენ.

ოთხი ქალი წინ მიდიოდა, ხოლო სამი მამაკაცი უკან მისდევდათ, ცოტა მოშორებით.

ლუაზომ, რომელსაც კარგად ჰქონდა წარმოდგენილი საქმის ვითარება, ერთბაშად იკითხა — ამ გომბიომ კიდევ დიდხანს უნდა გვამყოფოს ამისთანა ადგილასაო? კონტმა, როგორც მუდამ თავაზიანმა კაცმა, თქვა: ასეთ მძიმე მსხვერპლს ქალს ჩვენ ვეღარ მოვსთხოვთ, თვითონ რომ თქვას, მზადა ვარ გავიღო მსხვერპლიო, ეს სულ სხვა იქნებო. ბ-ნმა კარულამადონმა შენიშნა, ფრანგებმა თავდაცვითი შემოტევა დიეპიდან რომ აწარმოონ, როგორც ეს განზრახული ჰქონდათო, ჩვენები და გერმანელები ერთმანეთს სწორედ ტოტში შეხვდებიანო. ამ მოსაზრებამ ორი მაყურებელი მამაკაცი

დააფიქრა: „მოდით, ქვეითად გავიქცეთო“, სთქვა ლუაზომ. კონტრა მხრები შეიმუშვნა: — აბა, რა ჭკუაში მოსასვლელია ამ თოვლში ისიც, ჩვენი ქალების გადამკიდე! მერე მაშინვე გამოგვედევნებინ, ათ წუთში დაგვიჭერენ და ტყვეებად წამოგვიყვანენ სალდათების ამარა.

მართალიაო, კვერი დაუკრეს, და ყველანი გაჩუმდნენ.

ქალები ჩაცმა-დახურვაზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ ეტყობოდათ, რომ ყველას რაღაც აწუხებდა.

ერთბაშად ქუჩის ბოლოში ოფიცერი გამოჩნდა, თოვლზე, რომელიც ცის დასავალამდე ჰფარავდა დედამიწას. მოჩანდა ანარეკლი მისი მაღალი ტანისა, და ეს მისი ტანი ფორმის ტანისამოსიან კრაზანასა ჰგავდა. მუხლები განზე გაეწია და მოაბიჯებდა თავის ფეხებს ისე, როგორც ეს დამახასიათებელია მხედართათვის, რომელნიც ცდილობენ გაკრიალებული ფეხსაცმელები არ გაისვარონ ხოლმე.

ქალებს რომ ჩაუარა, თავი დაუკრა, მამაკაცებს კი გადაჰხედა. კარგი, რომ ამათ ქუდები არ მოუხადეს, თუმცა ლუაზომ თითქო მოინდომა ქუდის მოხდაო.

ფუნთუშა წამოჭარხლდა; და სამმა ქალმა დიდად დამცირებულად იგრძნეს თავიანთი თავი, აქაო და ოფიცერმა ისინი სწორედ იმ გოგოსთან დაინახა, ვისაც გარშეყება მოუნდომაო.

ლაპარაკის საგანი გახდა ოფიცერი, მისი მიხვრა-მოხვრა, გარეგნობა. ქ-ნ კარე-ლამადონს ოფიცერი ბევრი სცნობია და იცოდა მათი დაფასება. ეს ოფიცერიც, მისი აზრით, ცუდი სრულებითაც არ იყო: ის კი არა, ნანობდა კიდევ, რატო ფრანგი არ არისო, თორემ საუცხოო გუსარი დადგებოდა და ქალები მაგის მზერით დაგიჟდებოდნენო.

შინ დაბრუნდნენ, მაგრამ არ იცოდნენ, რა ექნათ, სულ უბრალო რამეებისათვის მკვანე სიტყვების დახარჯვასაც კი არ დაერიდნენ. ვახშამზე ხმა არავის ამოუღია, ხელადაც გათავდა, და მაშინათვე მალლა ამოვიდნენ დასაწოლად: იქნებ ძილში მაინც გავიდეს დროო.

შემდეგს დღეს რომ ჩამოვიდნენ, ყველას დაღლილი, დათენთილი სახე ჰქონდა და გული ბოდმით სავსე, ქალები თითქმის არც კი ელაპარაკებოდნენ ფუნთუშას.

ეკლესიაში ზარი ჩამოჰკრეს. ვიღაცას ნათლავდნენ. ფუნთუშას სოფელ ივტოში გლეხებისათვის ჰყავდა შვილი მიბარებული აღსაზრდელად. წელიწადში ერთხელ თულა ხელავდა და ისე აღარც კი ფიქრობდა მასზე; მაგრამ მოსანათლავ ბავშვზე ფიქრმა გული ერთბაშად აუჩუყა და მოაგონდა თავისი შვილი. ამიტომ გადასწყვიტა უეჭველად დასწრებოდა ნათლობას.

ქალი რომ წავიდა, ყველამ ერთმანეთს გადახედა, მერე სკამები ერთმანეთის ახლო მისწიეს, რადგან ყველანი კარგადა გრძნობდნენ, რომ ბოლოსა და ბოლოს ხომ რასმე გზას უნდა დავადგეთო. ლუაზოს ერთმა აზრმა გაუელვა თავში და სხვებსაც გაუზიარა: მოდით, ოფიცერმა მარტო ფუნთუშა დაიტოვოს და ჩვენ კი ყველანი გაგვიშვასო.

ბ-ნმა ფოლანვიმ იკისრა დაბარებულის ასრულება და მალლა ავიდა, მაგრამ მალევე დაბრუნდა. გერმანელმა, რომელიც კარგად იცნობდა ადამიანის ბუნებას, კარში გააგდო.

გადაწყვეტილი ჰქონდა, სანამ სურვილს არ დავიკმაყოფილებ, აქედან ფეხსაც არავის მოვაცვლევინებო.

ქ-ნმა ლუაზომ თავისი გაგრიული ბუნება ვერ შეიკავა და მოუხსნა უწმაწურ სიტყვების გუდას თავი:

— ქა, აქ ხომ არ უნდა დავბერდეთ! რაკი ამ გაიძვერა ქალის ხელობაა ყველასთან მოიქცეს ასე, ჩემი აზრით, უფლება არა აქვს ზოგიდააკმაყოფილოს და ზოგს კი უარი უთხრას. გაგონილა?!. რუანში კაცი არ დარჩენილა, რომ მასთან არ

გდებულიყო, მეეტლეებიც კი, ჰო, ჩემმა გახარებამა, პოლიციის მეეტლესაც კი უჯიჯგნია ერთხელ. ეს კაცი ღვინოს ჩვენგანა ჰყიდულობს და თვითონ გვიამბო. და დღეს, როცა ჩვენ გაჭირვებიდან უნდა გვიხსნას, თავი აუღია ამ სამიწეს და გვენაზება... აი, მეხი კი დავაყარე!.. მე რომ მკითხოს კაცმა, ოფიცერი ძალიან კარგსაცა შვრება... ვინ იცის, რამდენი ხანია, ქალი არ უნახავს! აქ სამნი ვიყავით და ჩვენ სამში ის აურჩევია!.. რა ვუყოთ მერე! ისიც იმასა სჯერდება, ვიზედაც ყველას მიუწვდება ხელი! ქმრიან ქალებს კი პატივისცემით გვეპყრობა და არას გვეუბნება. აბა დაფიქრდით, აქაურობის ბატონია და მაშ არა ჰქნას! ერთი რომ დაეძახნა: „მინდაო“, მეტი კი არ უნდოდა, მისი სალდათები მოგვვარდებოდნენ და ძალით დაგვიმორჩილებდნენ.

ორივე ქალს ცოტათი გააქრჟოლა. ხოლო ლამაზ ქალბატონ კარე-ლამადონს თვალები გაუბრწყინდა. ცოტათი ფერი ეცვალა, თითქო ოფიცრის მიერ ძალათი დამორჩილებასა გრძნობსო.

მამაკაცები, განზე რომ ბჭობდნენ, ქალებს დაუახლოვდნენ. ლუაზო, გამმაგებული, მზად იყო „ეს საზიზღარი“ ხელფეხ შეკრული მტრისათვის გადაეცა. მაგრამ კონტი, რომელსაც სამი მოდგმა წინაპრებისა ელჩები ჰყავდა და თვითონაც ბუნებით დიპლომატი იყო, ურჩევდა, მოხერხებით გავიდეთ ფონსო: ვეცადოთ, დავაჯეროთო, უთხრა მან ლუაზოს.

გააჩადეს ფუნთუშას წინააღმდეგ შეთქმულება.

ქალები უფრო მეტად შეიჭურჭნენ. ხმა დაიდაბლეს და გაიმართა საერთო თათბირი. თითოეულმა თავ-თავისი აზრი გამოთქვა. ლაპარაკის კილო თავდაჭერილი იყო. ამათ ისეთი მოხერხებულობა გამოიჩინეს, რომ ძალიან უწმაწური რამეები მეტად მორიდებულისა, ნაზისა და დახვეწილის სიტყვებით გამოთქვეს. გარეშე კაცი ვერას გაიგებდა, იმდენად ფრთხილობდნენ სიტყვების შერჩევაში თავისი აზრის გამოსახატავად, მაგრამ მსუბუქი შრე შესაბამობისა, რომლითაც დაფარულია ყოველი მაღალი საზოგადოების ქალი, ამ ქალების მხოლოდ ზედაპირსა ჰფარავდა. ისინი თითქო ერთბაშად გაიფურჩქნენ ამ ოინბაზობის მოგონებაზეო; გულში საშინლად უხაროდათ. გრძნობდნენ, რომ მათ შესაფერ საქმისათვის ჰქონდათ ხელი მოკიდებული, სიყვარულის საქმეს ისეთი ვნებითი გატაცებით აწყობდნენ, როგორითაც მსუნაგი მზარეული სხვისთვის ამზადებს ხოლმე ვახშამს. თავისთავად გამხიარულდნენ, რადგან ბოლოსა და ბოლოს მთელი მათ მიერ განზრახული ამბავი მეტად სასაცილოდ ეჩვენათ. კონტმა, ცოტა არ იყოს, უწმაწური ოხუნჯობა დახარჯა. მაგრამ ეს ოხუნჯობა ისეთი კონტა სიტყვებით იყო გამოთქმული, რომ ყველას ღიმი მოჰგვარა. თავის მხრივ ლუაზომაც მიჰმართა უწმაწურ ოხუნჯობას, მაგრამ არავისა სწყენია; და ყველას თავში უტრიალებდა ის აზრი, მისმა ცოლმა ასე უხეშად რომ გამოთქვა: „რადგან ეს ამ ქალის ხელობაა, ჩემი აზრით, უფლება არა აქვს, ზოგი დააკმაყოფილოს და ზოგს კი უარი უთხრას“. კონტა ქ-ნი კარელამადონი, ღმერთო შეგცოდე, და მგონი ფიქრობდა კიდეც: იმის ალაგას უარს სხვას უფრო ვეტყოდი, ვიდრე ამ კაცსაო.

კარგა ხანს ამზადებდნენ ამ ბლოკადას, თითქო ციხესიმაგრე რომელიმე უნდა გარემოიცვანო, როლები

განაწილეს, თითოეულმა მათგანმა მოიფიქრა, თუ რა საბუთები წაეყენებინა, რა ხერხისათვის უნდა მიემართნა. შეიმუშავეს შეტევის გეგმა, მოისაზრეს, რა ეშმაკობისათვის უნდა მიემართათ იერიშის მიტანის დროს, რომ აეღოთ ეს ცოცხალი ციხესიმაგრე და შიგ მტერი შეეშვათ.

კორნულე განზე იდგა, ამ საქმეში სრულებით გარეშე კაცივით ეჭირა თავი.

მათი გულისყური იმ ზომამდე იყო დაძაგრული, რომ ფუნთუშას შემოსვლა არც კი გაუგიათ. კონტმა ჩუმად გააფრთხილა ყველანი: სუთო. ყველამ ზევით აიხვედა. ქალი მათს წინ იდგა. ერთბაშად გაჩუმდნენ და ჯერ ვერავის მოეხერხებინა მისთვის რამე ეთქვა. კონტესამ, რომელიც სალონებში გამეფებულ პირფერობაში ყველაზე მეტად იყო გაწაფული, ჰკითხა:

რას იტყვით, ნათლობა როგორ მოგეწონათ?

მსხვილი ქალი, ჯერ ისევ აღელვებული, ყველაფერს მოუყვა: ვინა ნახა, თავი როგორ ეჭირათ დამსწრეთ, თვით ეკლესიაც აუწერა. მერე დასძინა:

— რა კარგია ზოგჯერ ლოცვა!..

ქალები საუზმეზე აღერსიანად ეპყრობოდნენ ფუნთუშას, რომ მათს რჩევას მეტის ნდობითა და მორჩილებით მოჰკიდებოდა.

სუფრას მოუსხდნენ თუ არა, ნელ-ნელა შეჰყვნენ განზრახული გეგმის ასრულებას, ჯერ ბუნდოვანი ლაპარაკი ჩამოაგდეს ადამიანის თავგანწირვის შესახებ საზოგადოდ, მაგალითებად მოიტანეს: ივლითი და ჰოლოფერნი, მერე, საიდან სადაო, ამას მიაკერეს ლუკრეცია სექსტუსია; მოიგონეს კლეოპატრა, რომელიც თავის ცხედარზე მოიწვენდა მტრების

ყველა სარდლებს და შემდეგ თავის მონებად აქცევდა ხოლმე. მერე ამას მოჰყვა ფანტასტური ამბავი, ამ უვიც მილიონერების გონების გამოგონილი, რომელშიაც მოთხრობილია, ვითომც რომის მოქალაქე ქალები კაპუაში წასულიყვნენ და თავიანთ გულში ჩახვეული ანიბალი დაეძინებინოსთ, და ანიბალთან ერთად მისი დაქირავებული ჯარისკაცებისა და მათი უფროსების ფალანგები. ჩამოთვალეს ყველა ქალი, ვინც შეაჩერეს დამპყრობლები, რომელთაც თავიანთი სხეული ბრძოლის ველად გადააქციეს, ეს სხეული გამოიყენეს, როგორც იარაღი ბრძოლისა, როგორც საშუალება მტრის დამორჩილებისა, ვინც თავიანთი გმირული აღერსით დაამარცხეს ყველაზე საზიზღარი და საშინელი არსებანიო, და თავიანთი სიქალწულე ანაცვალეს შურისძიებასა და თავგანწირვასო.

კილოკავებით მოუყვნენ იმ ამბავსაც, თუ ერთმა მაღალი წრის ინგლისელმა ქალმა როგორ აიცრა ერთი საშინელი და გადამდები სენი, რომ მერე ეს სენი შეეყარნა ბონაპარტესათვის, რომელიც სწორედ ქალთან შეხვედრის დროს უცბად უქეიფოდ გამხდარიყო და სასწაულებრივ გადარჩენილა უბედურებასაო.

ყოველივე ეს ზრდილობიანად და თავშეკავებული სიტყვებით იყო ნათქვამი, მაგრამ ალაგ-ალაგ განგებ გატაცებით ამბობდნენ, თითქო ვინმე უნდა წააქეზონ მისაბაძველადო.

ბოლოს და ბოლოს, ადამიანს უნდა დაესკვნა: ერთადერთი როლი და დანიშნულება ქალისა ვითომც მუდმივი თავგანწირვა იყოს, მას მოეთხოვებოდეს მხოლოდ ისა, რომ დანებდეს სალდათებს და მათი გულისთქმა დააკმაყოფილოს.

ორ მოლოზანს თითქო არაფერი ესმოდათ და ძალზე იყვნენ დაფიქრებულნი; ფუნთუშა ხმას არ იღებდა.

მთელი ნაშუადღევის განმავლობაში ქალი დაფიქრებული იყო, მაგრამ იმის მაგივრად, რომ მისთვის „ქალბატონი“ დაეძახნათ, როგორც ადრე შვრებოდნენ ამას, ახლა მხოლოდ „ქალს“ ეძახდნენ; ამას განგებ შვრებოდნენ, თითქოს ამით თავისივე თვალში უნდა დაემცირებინათ ქალი, ეგრძნობინებინათ თავის სასირცხვილო მდგომარეობა.

სადილობისას, წვენი რომ მოიტანეს, ისევ გამოჩნდა ფოლანვი და თავისი გუშინდელი ნათქვამი გაიმეორა:

— პრუსიელმა ოფიცერმა ბრძანა: კვითხო ელიზაბეტ რუსეს ქალს, გამოიცვალა თავისი გადაწყვეტილება თუ არაო?

არა, ბატონო, ცივად უპასუხა ფუნთუშამ. სუფრაზე მათი ერთობა ცოტათი შესუსტდა. ლუაზოს ორი-სამი გაუფრთხილებელი ფრაზა წამოსცდა. ცდილობდნენ ახალი ისტორიული მაგალითები რამ მოეგონებინათ, მაგრამ არაფერი აგონდებოდათ. ამ დროს კონტესამ, რომელსაც შეიძლება არც კი ჰქონდა რამე წინასწარი განზრახვა, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ბუნდად განიცადა სურვილი პატივისცემით მოჰკიდებოდა სარწმუნოებას, უფროს მოლოზანს ჰკი- თხა, იქნებ რამე თვალსაჩინო ფაქტები გვიამბოთ წმინდანთა ცხოვრებიდანაო. და იმანაც უამბო. ბევრ მათგანს ისეთი რამ ჩაუდენია, რაც ახლა ჩვენს თვალში ცოდვებად ჩაეთვლებოდათ. გარნა ეკლესიამ ყველა ეს შეცოდებანი ადვილად შეუნდო, რადგან ისინი ჩადენილნი იყვნენ ან სადიდებლად ღვთისა, ანდა მოყვასის სასიკეთოდო. ეს მეტად ძლიერი საბუთი იყო, და კონტესამაც ხელი ჩასჭიდა. მაშინ, ზოგი უსიტყვოდ შეთანხმებისა გამო, ზოგიც განსაკუთრებულის თავმდაბლობით, რომელიც სჩვევიათ ხოლმე ანაფოროსნებს, ზოგი კიდევ, შეიძლება, ბედნიერ მიხვედრილობით ყოფილიყო, ანდა მამებელი სისულელით,

ასე იყო, თუ ისე, ბებერმა მოლოზანმა შეთქმულებას დიდი სამსახური გაუწია. მორცხვი და მოკრძალებული ეგონათ. ის კი არა სითამამე, ენადგაკრეჭილობა და სიცხარე გამოიჩინა. მოლოზანი იმათგანი არ იყო, ვისაც შეაკრთობდა კაზუისტიკის მიერ ხელის ცეცებით შინჯვა რისამე; მისი დებულება მტკიცე იყო, ვით ჯოხი რკინისა. მისმა რწმენამ ყოყმანი, რა არის, არ იცოდა; სინიღისი მისი იჭვსა და ორჭოფობას არა ჰგუობდა.

მოლოზნის აზრით, აბრაამის მიერ შეწირული მსხვერპლი სრულებით ბუნებრივი იყო, ამიტომ რომ ზეციერის ბრძანებით მე თვითონ დაუყოვნებლივ გავიმეტებდი მამასა და დედას, და, ჩემი აზრით, ყოველივე სათნო არს უფლისათვის, რაკი ჩვენი განზრახვა მოსაწონებელიაო,

კონტესამ ხელზე დაიხვია თავისი მოულოდნელი მოკავშირის წმიდა ავტორიტეტი და სთხოვა მოძღვრების სახით განემარტებინა ის ზნეობრივი ჭეშმარიტება, სადაც ნათქვამია, რომ „მიზანი ამართლებს საშუალებასო“. ამის შემდეგ უთხრა:

— მაშ, ჩემო დაო, თქვენა ბრძანებთ, რომ ღმერთი კეთილად მიითვლის ყოველგვარ საშუალებას და შეგვინდობს ბოროტებას, თუ ეს ბოროტება კეთილის განზრახვით იყო ჩადენილი?

— მაშა, განა ვისმე შეიძლება ამაში იჭვიც კი შეეპაროს, ქალბატონო?! ზოგჯერ თავისთავად სააუგო საქციელი საქებურ საქციელად იქცევა ხოლმე, რაკი ის კეთილის განზრახვით არის გამოწვეული.

და ასე განაგრძობდნენ ლაპარაკს, განმარტავდნენ განგებას ღვთისას, წინასწარ ითვალისწინებდნენ მის განზრახვას და ასეთ საქმესაც კი მოახვედნენ ხოლმე თავს ზეციერს, რაც მას სრულებითაც არ ეკითხებოდა.

ყოველივე ეს კეთდებოდა მოხერხებულად, ფრთხილად, ყოვლადის წინდახედულობით. ხოლო კეთილმსახურ და რქის სახის ლეჩაქიან მოლოზნის ყოველი სიტყვა თანდათან აღბობდა მეძავი ქალის სიკერპეს. მერე ცოტათი განზე გადაუხვიეს ლაპარაკს და კრიალოსან-ჩამოკონწიალებულმა ქალმა სიტყვა ჩამოაგდო თავის ორდენის მონასტრების შესახებ, ილაპარაკა თავის წინამძღვრისა, თავის თავისა, თავის კეთილი მეზობლისა და ძვირფას დის სენტ-ნისეფორას შესახებ. ჰავრში ჰოსპიტალები პირთამდე სავსეა თურმე ყვავილით ავადმყოფ სალდათებითა და მაგათ მოსავლელადა ვართ დაბარებულნიო. მოლოზანმა აღწერა ამ საცოდავების მდგომარეობა, დაწვრილებით გააცნო მსმენელთ ეს ავადმყოფობა, და სანამ ჩვენ ამ პრუსიელის ჯიუტობით აქა ვართ გაჩერებულნი, ვინ იცის, რამდენი ფრანგი დაიხოცოს და შეიძლებოდა კი გადაგვერჩინაო! სწორედ ჩემი სპეციალობაა სამხედროების მოვლაო. ვყოფილვარ ყირიმსა, იტალიასა, ავსტრიაშიო, და ამ ომების ამბავს რომ მოუთხრობდა მოლოზონი, მსმენელთ ერთბაშად მისი თავი წარმოუდგათ როგორც ერთი მებრძოლი. მოლოზანთაგანი, რომლებიც თითქო იმისათვის არიან გაჩენილნი, რომ ჯარს ბრძოლის ველზე სდიონ ხოლმე, გახურებული ბრძოლის დროს ველიდან დაჭრილები აიყვანონ და ზოგჯერ ერთი სიტყვით ჯარის უფროსზე უკეთესად დაამშვიდონ თავაშვებული ჯარისკაცებით; ეს იყო ნამდვილი დაი, ნაოჭიანი და ყვავილისაგან ღრმად დაკენკილი სახის პატრონი, თვითონ განსახიერება ომის მიერ გამოწვეული განადგურებისა.

მოლოზნის შემდეგ არავის არა უთქვამს რა, ისეთი შთაბეჭდილება დატოვა მისმა ლაპარაკმა მსმენელებზე.

სადილი გაათავეს თუ არა, მაშინვე ოთახებში ავიდნენ იმ განზრახვით, რომ მეორე დილას გვიანობამდე არ ჩამოსულიყვნენ უკან.

საუზმე მშვიდობიანად ჩაატარეს; წინადღით დათესილ თესლს ადროვეს გაღვივებულიყო, ამოსულიყო, ნაყოფი გამოედო.

კონტესამ ნაშუადღევს გავისეირნოთო; კონტმა, წინასწარ მოლაპარაკების თანახმად, ფუნთუშას ხელი მკლავში გაუყარა და მასთან ერთად სხვებს უკან ჩამორჩა.

დაუწყო ლაპარაკი ნახევრად მეგობრულისა და ნახევრად მამობრივის კილოთი, ცოტა არ იყოს, აგდებულად, იმ კილოთი, რა კილოთიც დარბაისელი ხალხი მეძავ ქალებს ელაპარაკება ხოლმე; ეძახდა: „ჩემო ძვირფასო შვილო“, ექცეოდა ისე, რომ ქალს ეგრძნო მისი მაღალი სოციალური მდგომარეობა. მისი უდავო ღირსება. კონტი ამგვარად საქმეს შეუდგა:

— მამ თქვენ გირჩევნიათ აქ გაგვაჩეროთ და ჩვენთან ერთად თქვენი თავი განსაცდელში ჩაიგდოთ, თუ ვინიცობაა, რამე მარცხი მოუვიდა პრუსიელთა ჯარებს? ის არა სჯობია, დასთანხმდეთ და ასიამოვნოთ ოფიცერი! მით უფრო, რომ ხამი ხომ არა ხართ, თქვე დალოცვილო, მამაკაცის გულის მოგებისა!..

ფუნთუშამ არაფერი უთხრა.

კონტი მოეფერა. ცდილობდა დაეჯერებინა, მისი გული მოეღობო.

იმდენს ახერხებდა, რომ „ბატონ კონტად“ მაინცა რჩებოდა და თან ეარშიყებოდა, ტკბილ სიტყვებს ეუბნებოდა, და როცა დასჭირდებოდა, ქათინაურებსაც არ იშურებდა. აგრძნობინა, თუ რა დიდ სამსახურს გაუწევდა იგი ყველას, რა

მადლიერი იქნებოდნენ მისი; მერე ერთბაშად შენობით დაუწყო ლაპარაკი და მხიარულად უთხრა:

- იცი, ჩემო კარგო, ოფიცერი მერე დაიკვებებს, რომ იგემა ისეთი ლამაზი გოგო, რომლის მსგავსს თავის ქვეყანაში ბევრს კი ვერ იპოვიდა.

ფუნთუშამ მაინც არაფერი უპასუხა და სხვებს შეუერთდა.

დაბრუნდნენ თუ არა, თავის ოთახში ამოვიდა და მერე აღარ გამოჩენილა. ყველას ძალზე ეშინოდა, — არ იცოდნენ, რას აპირებდა. ვაითუ გაჩიქდეს და მაშინ რაღა გვეშველებო.

სადილობის დრო მოვიდა, ქალს ტყუილად ელოდნენ; შემოვიდა ბ-ნი ფოლანვი და მოახსენა, — რუსეს ქალი უქეიფოდაა და თქვენ დაბრძანდით და მიირთვით სადილიო. ყველამ ყურები ცქციტა. კონტი მესასტუმროვეს მიუახლოვდა და ჩუმად ჰკითხა:

- გაკეთდა საქმე?
- -მამ!..

ზრდილობის გულისთვის თავის თანამგზავრებს თქმით არაფერი უთხრა, მხოლოდ მსუბუქად თავი დაუქნია. მაშინვე შვების ამოსუნთქვა აღმოხდა ყველას გულიდან, სახეზე სიხარული გადაეფინათ. ლუატომ წამოიძახა:

ჯანდაბას ჩემი თავი და ტანი! ჩემის ხარჯით შამპანურით უნდა გაგიმასპინძლდეთ, თუკი იშოვება აქ.

ქ-ნლუაზოს დარდით დაედარა სახე, როცა მესასტუმროვემ ოთხი ბოთლი შამპანური შემოიტანა. ერთბაშად ხმამაღლა დაუწყეს ერთმანეთს ლაპარაკი; მხიარულებამ ყველას გული აღუვსო. კონტს ქ-ნი კარე-ლამადონი მომნიბვლელად მოეჩვენა. მექარხნემ კონტესას ქათინაურები უძღვნა. ლაპარაკი

გაცხოველდა, დაიწყეს ოხუნჯობა, წამოვიდა მოსწრებული სიტყვები.

ერთბაშად ლუაზომ, სახეშემკრთალმა და ხელებგაშვერილმა, დაიდრიალა:

— ჩუმად!

ყველანი გაჩუმდნენ, გაოცებულნი, თითქმის შეშინებულნიც. ლუაზომ ყურები ცქვიტა. ორივე ხელით „სუთ“-ო დაატანა, თვალები ჭერისაკენ ამართა, ხელახლა ყური დაუგლო და ახლა კი თავისი ჩვეულებრივი ხმით დაიძახა:

— ფიქრი ნუ გაქვთ, გვეშველა.

ვითომ არ უნდოდათ გაეგოთ მისი ნათქვამი, მაგრამ მალე ყველას გაეღიმა.

მეოთხედ საათს უკან ისევ გაიმეორა ეს ოინი და სადამოს განმავლობაში ხშირად იმეორებდა; და თან ვითომ ვიდაცას ეძახის მალლა სართულში და ტაკიმასხარას შესაფერ ორაზროვან, უწმაწურ რჩევას აძლევსო. დროდადრო ვითომ დადონდებოდა, ამოიხრებდა და წამოიძახებდა: „საწყალი ქალი!“ ანდა კბილების კრაჭუნით გამწყრალი ბურტყუნებდა: „ვაი დედაშენს, შე საზიზღარო პრუსიელო, შენა!“ ზოგჯერ კიდევ, როცა ყველას გადაავიწყდებოდა, ათრთოლებულის ხმით ზედიზედ წამოიძახებდა: „კმარა, კმარა!“ და თავისთვისვე დასძენდა: „ნეტავ კი ცოცხალი ვნახოთ საცოდავი, ხელში კი არ შემოაკვდეს ამ შეჩვენებულს!“

თუმცა ხუმრობა მეტად უკბილო და უბადრუკი ხასიათისა იყო, მაგრამ იმათ მაინც ართობდა და არავის ეჩოთირებოდა, ამიტომ რომ მდურვა, როგორც სხვა ყველაფერი, თვით იმ წრეზეა დამოკიდებული, საცა ეს მდურვა უნდა გაისმას, ხოლო მათს

გარშემო შექმნილი ჰაერი ნელ-ნელა თავდაუჭერელ აზრებით გაიჟღენთა.

სუფრაზე ტკბილეულის მოტანის დროს თვითონ ქალებმა მისცეს თავიანთ თავს ნება რამდენიმე მოსწრებულნი და თავშეკავებული ოხუნჯობა დაეხარჯნათ. ყველას თვალები უბრწყინავდა, ბევრი დალიეს. კონტმა, რომელიც ადელვების დროსაც კი შეინარჩუნებდა ხოლმე თავის სახის დიდმშვენიერობას, თავიანთი აწინდელი მდგომარეობა მოსწრებულად შეადარა იმათს მდგომარეობას, ვისაც სადღაც, ჩრდილოეთის პოლუსზე, გემი დაელუპათ, მთელი ზამთარი იქ ჩარჩნენ, მერე, როგორც იქნა, ეღირსნენ იქიდან გზა გახსნოდათ სამხრეთისაკენ.

ლუაზო გახურდა, წამოხტა, ხელში შამპანურით სავსე ჭიქა დაიჭირა და წამოიძახა:

— ეს გაუმარჯოს ჩვენს თავისუფლებას!

ყველანი ზეზე წამოიჭრნენ; თავიანთი ხმა ამ სადღეგრძელოს შეუერთეს. დანარჩენი ქალების თხოვნით, მოლოზნებიც კი დასთანხმდნენ ტუჩები დაესველებინათ ამ შუშხუნა ღვინით, რომლის გემოს პირველად შინჯავდნენ. განაცხადეს, ლიმონათსა ჰგავსო, მხოლოდ ეს უფრო გემრიელიაო.

და ბოლოს, ლუაზომ დასძინა:

— აფსუს, რომ პიანო არა გვაქვს, თორემ ერთ კადრილს ჩამოვუვლიდით, ვაი, არა მაქვს!

კორნუდეს ერთი სიტყვა არ წამოსცდენია, ერთი არგანძრეულა, ის კი არა, თითქო ძალზე დაფიქრებულიაო, ხანდახან გამმაგებული სახით გრძელ წვერს იწეწდა, თითქო უფრო უნდა დაიგრძელოსო. ბოლოს, შუაღამის ჟამს, როდესაც

ერთმანეთს უნდა გამოვხატოთ, ლუაზომ, რომელიც ტორტმანებდა, მუცელზე ხელი დაჰკრა და ლულულად უთხრა:

- ამაღამ რა ცხვირპირი ჩამოგტირით და არ მხიარულობთ; რას გაჩუმებულხართ, მოქალაქევ?

ამ დროს კორნუდემ უცბად თავი მაღლა ასწია, საზოგადოებას მოელვარე და მრისხანე თვალებით გადაჰხედა და უთხრა:

- ყველას უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენ სადაგლობა ჩაიდინეთ!

ესა თქვა, ადგა, კართან მივიდა და ერთხელ კიდევი გაიმეორა:

— დიახ, სადაგლობა! — და გავიდა კიდევი გარეთ.

ჯერ ყველანი შეშფოთდნენ. ლუაზო გაოცებული, სულელივით გაჩერდა; მაგრამ ისევ გონს მოვიდა, მერე, ერთბაშად, ხარხარით წამოიძახა:

— კატა ვერ შესწვდა ძეხვსაო, ჩემო კარგო, პარასკევია დღესაო!..

რადგან სხვები ვერ მიხვდნენ, ამით რა უნდოდა ეთქვა ლუაზოს, ისიც მოუყვა და უამბო „ტალანის საიდუმლოებანი“. უნდა გენახათ, როგორ გამხიარულდნენ!.. ქალები გიჟებივით იცინოდნენ. კონტსა და ბ-ნ კარე-ლამადონს ცრემლები წამოსცვივდათ მეტის სიცილისაგან. არავის სჯეროდა მისი ნათქვამი და ეკითხებოდნენ:

— მართლა?! არა, თუ ღმერთი გწამთ, მართალს ამბობთ? მაშ, იმას უნდოდა...

- გუუბნებით, ჩემის თვალითა ვნახე-მეთქი!

- და ქალმა უარი უთხრა?..

- იმიტომ უთხრა უარი, რომ პრუსიელი გვერდით
ოთახში იყო.

- არა, მართლა? — მამის სულსა ვფიცავ!

კონტი სიცილისაგან იხრჩობოდა. მექარხნე იჭაჭებოდა და
მუცელს ორივე ხელით იჭერდა. ლუაზომ განაგრძო:

— ამის შემდეგ ადვილად მიხვდებით, რომ კორნუდეს
ქალი სასაცილოდ სრულებით არ ეჩვენება ამ საღამოს... ჰაი, ჰაი,
რომ არა!

და სამნივე იმეორებდნენ ამას და სიცილისაგან სულს
ვეღარ იბრუნებდნენ, იხრჩობოდნენ.

ბოლოს დაიშალნენ კიდეც. ენაგესლიანმა ქ-ნმა ლუაზომ
თავის ქმარს უთხრა დაწოლის დროს, რომ კარე-ლამადონის ეს
„მუზმუზელა“ ცოლი მთელ ღამეს ეშმაკურად იცინოდაო:

- ხომ იცი ქალის ამბავი, ოფიცრის ტანისამოსიანი თუ
დაინახა, ფრანგი იქნება, თუ პრუსიელი, მისთვის სულ ერთია, მე
და ჩემმა ღმერთმა! მაშინვე თვალები დაუდგება ხოლმე. ნეტავი
რა უნდა თქვას კაცმა ასეთ ხალხზე, ღმერთო, კი დამიფარე!

და მთელ ღამეს ტალანის სიბნელეში გაისმოდა ჩუმი,
ოდნავ შესამჩნევი ჩურჩული, ქარის შრიალის მსგავსი და ოდნავი
ჭრაჭუნი, თითქო ვინმე შიშველა ფეხებით დადისო. და ცხადი
იყო, რომ დიდხანს არ დაეძინათ, ამიტომ რომ კარების ქვეშიდან
დიდხანს მოჩანდა სინათლის ზოლები. შამპანურმა ღვინომ ასე
იცის; ამბობენ, ადამიანს ძილს უფროთხოვსო.

მეორე დღეს ზამთრის ცხრათვალა მზე თოვლს
თვალისმომჭრელად აციალებდა. როგორც იყო, ცხენებშებმული
დილიქანსი კარებს წინ იდგა. თეთრი მტრედების მთელი გუნდი
მოქურუხებულები, ვარდისფერ თვალებიანი, შუაგულში შავი
წინწკლები რომ ესხდათ, მძიმე-მძიმედ მიდი-მოდიოდნენ ექვის

ცხენის ფეხებ-ქვეშ, მათს აორთქლილ მჩორესა ჰქენდნენ და შიგ საკენკს ეძებდნენ.

მეეტლეს ტყაპუჭი მოესხა, კოფოზე წამოსკუპული ნებალება ჩიბუხს სუტავდა, ხოლო გახარებული მოგზაურები საჩქაროზე საგზალს ახვევდნენ. დანარჩენი მანძილის სამყოფს.

ფუნთუშასდა ელოდნენ. ისიც გამოჩნდა.

ცოტა არ იყოს, შემფოთებული იყო და დარცხვენილი. მოკრძალებით მიუახლოვდა თავის თანამგზავრებს, რომლებმაც ერთსა და იმავე დროს პირი მოიბრუნეს, თითქო ვერც კი შეუმჩნევიათო. კონტმა ღირსეულად ხელი მკლავში გაუყარა თავის ცოლს და გაარიდა ამ თითქოს უწმინდურ რამესო.

მსხვილი ქალიშვილი გაჩერდა, მერე მოიკრიბა მთელი თავისი გამბედაობა, მივიდა მექარხნის ცოლთან და მოკრძალებულის ჩურჩულით „გამარჯობა, ქალბატონოვო“, უთხრა. ამანაც მხოლოდ თავი დააკანტურა ოდნავ, ტუჩაწევით, თითქო მის ზნეობას ჩირქი რამ მოსცხესო. ყველანი რაღაც ფაცა-ფუცში იყვნენ და ფუნთუშას თვალს არიდებდნენ, თითქო თავის კაბებით რამე გადამდები სენი მოეტანოსო. მერე საჩქაროდ დილიქანსისაკენ გაექანნენ. ფუნთუშა მარტო მივიდა დილიქანსთან, უკანასკნელად, და ჩუმად იმავე ადგილზე ჩამოჯდა, რომელიც მოგზაურობის პირველ ნახევარში ეჭირა.

თავი ისე ეჭირათ, თითქო არც ამჩნევდნენ და აღარც კი იცნობდნენო. ქ-ნმა ლუაზომ, რომელიც ქალს შორიდან ზიზღით ათვალიერებდა, თავის ქმარს უთხრა:

- მადლობა ღმერთს, რომ მის გვერდით არ მომიხდა ჯდომა.

მძიმე დილიქანსი დაიძრა და გზას გაუდგნენ.

ჯერ არავინ იღებდა ხმას, ფუნთუშა თავის მაღლა აწევას ვერა ბედავდა. ამავე დროს თან გული მოსდიოდა თავის მეზობლებზე და თან იმასა ნაღვლობდა: რა ღმერთი გამიწყრა, თავი რად შევირცხვინე და წავიბილწე ამ პრუსიელის ხვევნაკოცნით, რომლის ხელში ესე მოღალატურად ამათვე ჩამაგდესო!..

მაგრამ კონტესა მიუბრუნდა ე-ნ კარე-ლამადონს და ეს მტანჯველი სიჩუმე დაარღვია.

— მე მგონი, იცნობთ ე-ნდ'ეტრელს?

-როგორ არა, ჩემი მეგობარია. — საუცხოო ქალია, განა?

- ძვირფასი! ნამდვილი რჩეული ადამიანია, და თანაც განათლებული და ხელოვანი ტერფით თხემამდე; მომხიბვლელადაა მღერის და საუცხოვოდაც ხატავს.

მექარხნე კონტეს ებაასებოდა და დილიჟანსის შუშების ჟღარა-ჟღურში ხანდახან გაატანდა სიტყვები: „ჩეკი... ვალის გადახდის ვადა... პრემია... ვადა...“

ლუაზომ, რომელსაც სასტუმროდან მოეპარა ხუთი წლის განმავლობაში ცუდად გადაწმენდილ მაგიდაზე ხუხუნით გაქონილი ბანქო, ცოლთან ხელად ოთხიანის თამაში გააჩაღა.

მოლოზნებმა ქამარზე დაკიდებული კრიალოსანი ხელში დაიჭირეს, ორივემ ერთად პირჯვარი გამოისახეს და ერთბაშად ტუჩები ააცმაცუნეს, მერე უფრო და უფრო აუჩქარეს და მოუხშირეს რაღაც ჩურჩულს, როგორც წირვაზე მღვდელთან ერთად ლოცვის დროს იცოდნენ ხოლმე, ჟამდაჟამ პატარა ხატსა ჰკოცნიდნენ, ხელახლა პირჯვარს ისახავდნენ და მერე ისევ განაგრძობდნენ ჩქარა და გაგრძელებულად ბუტბუტს.

კორნუდე უძრავად იჯდა დაფიქრებული.

სამ საათს სიარულს შემდეგ ლუაზომ ქალაქი აკრიფა და წამოიძახა:

— მომშივდა.

მისმა ცოლმა კანაფშემოხვეული კონა გახსნა და გამოიღო შემწვარი ხბოს ხორცის ნაჭერი, ზომიერად დასჭრა თხელ ნაჭრებად და ორნივე ჭამას შეუდგნენ.

— ჩვენც რომ ასე ვიზამდეთ, ცუდი არ იქნებოდა, - თქვა კონტესამ.

ყველანი დაეთანხმნენ და იმანაც გაშალა ორ ოჯახისათვის წამოღებული სურსათი: ერთი წოწოლა ქილა, რომლის სარქველზე ფაიფურის კურდღელია ხოლმე გამოყვანილი. თითქო იმის საჩვენებლად, რომ ქილის ძირში ჩასაცივებული კურდღელი განისვენებსო; კურდღლის ხორბლისფერ ხორცს დატანებული ჰქონდა ცვრიანი ნაჭრები ღორის ქონისა, სხვა დაკეპილ და გემრიელ ხორცთან არეული. გაზეთში გახვეულ კარგ მოზრდილ ყველის ნაჭერის ქერქს ზედ აღბეჭდოდა გაზეთის სტრიქონები „ახალი ამბები“.

მოლოზნებმა გრძელი ძეხვი ამოათრიეს, რომელსაც ნივრის სუნი ასდიოდა. ხოლო კორნუდემ ერთსა და იმავე დროს ორივე ხელი ჩაიყო თავის გვაბანაკის ჯიბეებში და ცალი ხელით ოთხი მაგრად მოხარშული კვერცხი ამოიღო. ხოლო მეორეთი — პურის ნაჭერი. კვერცხი გაფცქვანა, ნაჭუჭი ძირს დაფენილ ნამჯაზე დაჰყარა და კვერცხს კბეჩა დაუწყო. თავის ფართედ გადაფენილ წვერზე კვერცხის გულის ნამცეცები ეყრებოდა და ვარსკვლავებივით მოჩანდა.

ხოლო ფუნთუშას ადგომის დროს ფაცა-ფუცში და სიჩქარეში ვერაფრის წამოღება ვერ მოესწრო. აღელვებულს სული ყელში ებჯინებოდა ბრაზისაგან, როცა უყურებდა ამ

ხალხს, რომელიც, ვითომც აქ არაფერიაო, არხეინად შეექცეოდა საჭმელს. სიბრაზისაგან დაიკრუნჩხა და, ის იყო, პირი დაადო, რომ ტუჩებზე მომდგარი უშვერი სიტყვებით შეემკო ისინი ამგვარი საქციელისათვის; მაგრამ კრიჭა შეეკრა, იმდენად უჭერდა ყელში სიანჩხლე.

ზედაც არავინ უყურებდა, არც არავინ ზრუნავდა მისთვის. ქალი გრძნობდა, ამ პატიოსანი არამზადების სიძულვილის მორევში ვიხრჩობიო, თავზე შემომივლეს, მერე კი ხელი მკრეს, როგორც ბინძურსა და გამოუსადეგარს რასმეო... მოაგონდა თავისი დიდი კალათა, იმდენ კარგ რამეებით გატენილი, ამათ ნადირებივით რომ ჩაცეცხლეს: ორი ვარიის საცივი. ნაზუქები, მსხლები, ოთხი ბოთლი ბორდოს ღვინო!.. მისი სიშმაგე ერთბაშად დაცხრა, თითქო ძალზე დაძაგრული თოკი გაწყდაო და, ის იყო, ცრემლები უნდა წასკდომოდა თვალთაგან, ქალმა თავს ძალა დაატანა, გაშეშდა, ყელთან მობჯენილი ქვითინი უკანვე გადაყლაპა; მაგრამ ცრემლები მაინც მოაწვა, დაუნამა წამწამები და მალე ორი მსხვილი ცრემლი, ქუთუთოებს მოწყვეტილი, დაწვებზე ჩამოუგორდა. ორს სხვები მოჰყვა, ჩქარ-ჩქარა, დაპალუპით მოდიოდა ცრემლები, როგორც კლდიდან გამომდინარი ჭავლები წყლისა და გამოზომილად ეცემოდა მის გამოწეულ გულმკერდზე. წელში გასწორებული იჯდა, თვალბედაშტერებული, სახე გაშეშებული და ფერმკრთალი, ეგონა, ჩემს ცრემლებს ვერავინ დაინახავსო.

მაგრამ კონტესამ შეამჩნია და ქმარს ანიშნა, იმან მხრები შეიშმუშნა. თითქო ამის თქმა უნდოდაო: „მე რა ვუყო, ჩემი ბრალი ხომ არ არისო“... ქ-ნმა ლუატომ ჩუმად ჩაიცინა გამარჯვებული ადამიანის სახით და ჩურჩულით თქვა: „სირცხვილისაგან სტირისო“.

მოლოზნებმა ძეხვის ნარჩენი ქაღალდში გაახვიეს და ისევ ლოცვას შეუდგნენ.

მაშინ კორნუდემ, რომელიც თავის კვერცხებს ინელებდა, ფეხები მოპირდაპირე მერხზე დააწყო, ზურგით მიეყრდნო დილიჟანსის კედელს, გულზე ხელები დაიკრიფა, ჩაიღიმა რაიმე სახუმაროს გამომგონ ადამიანივით და მარსელიოზის სტვენა დაიწყო.

ყველამ კოპები შეიკრა. ეს გავრცელებული ეროვნული სიმღერა, ცხადი იყო, მის მეზობლებს არ მოსწონდა. განერვიულდნენ, აიმრიზნენ, და თითქო მზად არიან იღმუვლონ, როგორც ძაღლებმა, რომელთაც არღნის ხმა ესმით ხოლმე. ეს კორნუდემაც შენიშნა, მაგრამ არ გაჩუმდა. ის კი არა, ხანდახან სიტყვებსაც გამოურევდა:

- მამულის ღვთაებრივო სიყვარულო, მიმართე, გაუმარჯვე ჩვენს შურისმაძიებელ მკლავებს. თავისუფლებავე, ძვირფასო თავისუფლებავე, იბრძოლე შენ დამცველებთან ერთად.

თოვლი გამაგრდა და დილიჟანსმაც სიარულს უმატა. თვით დიეპამდე, დაუსრულებელ და გულისგადასაღევ საათების განმავლობაში, ყოველ ოღროჩოდრო ადგილებზე, თვით შებინდების დროსაც, როცა დილიჟანსში სრულიად ჩამობნელდა, კორნუდე დაჟინებით განაგრძობდა სტვენას და ეს შურისსაძიებელი და ნირშეუცვლელი უნებური სტვენა, მიუხედავად ადრენისა და დაღლილობისა, მის მეზობლებს აიძულებდა გონების თვალი თავიდან ბოლომდე ეღევნებინათ სიმღერისათვის და ყოველ ტაქტთან დაკავშირებით მოეგონებინათ შესაფერი სიტყვა.

ფუნთუშა კი განუწყვეტილად ტიროდა და მისი შეუკავებელი ქვითინი დროდადრო გამოკრთოდა ხოლმე ღამის წყვდიადში, სიმღერის ტაეპებს შორის...